

K 2
24.213

მ.ი.ნოდია



თბილისის
კურორცები
და სააგარაკო
აღგილები

საქართველო

თბილისი

1955

61:91 (C.999)
Digitized by
Bodleian Library

ა. ი. 6 თ ९ ० १

თბილისის კულტურული
საქართველოს კულტურული

24.2.2.



საქართველოს სსრ სამეცნიერო გამოცემელობა

თ ბ ი წ ი ს ი

1955

თბილისის კურორტები



МИХАИЛ ЮЛИАНОВИЧ НОДИЯ

КУРОРТЫ И ДАЧНЫЕ
МЕСТА ТБИЛИСИ
(На грузинском языке)

Грузмедгиз

Тбилиси

1955

საებ-2000
გეოგრაფიული

რედაქტორი ს. ხაყვარელიძე

მხატვარი ნ. აბრამაშვილი

ტექნიკური ვ. ხუციშვილი

გადაეცა წარმოებას ასაწყობად 24.II.55 წ. ხელმოწერილია ღასაბეჭ-
დად 9.VI 55 წ. ანაწყობის ზომა $5,5 \times 9$. ქაღალდის ზომა $84 \times 108^{1/2}$ ნაბეჭდ
ფორმათა რაოდენობა 6,56 სააღრიცხვო ფორმათა რაოდენობა 5,34.
ტირაჟი 3.000. შეკვ № 190. უვ 01371. ფასი 4 მან. 95 კაპ.

გარეკანი და ფოტოილუსტრაციები დაბეჭდილია საქართველოს გამოცემლობა
ლობის ფოტოცინკოგრაფიაში

საქართველოს სსრ სამედიცინო გამოცემლობა
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 26

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი

წინასიცყვაობა

შ მ ს ა ვ ა ლ ი

ყოველი დიდი ქალაქისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის მახლობლად ისეთი კურორტების და სააგარაკო ადგილების არსებობას, რომლებიც თავისი სიახლოებით აღვილი ხელმისაწვდომია მოსახლეობის ფართო მასების დასვენებისა და მკურნალობისათვის.

ამ მხრივ თბილისს აქვს მეტად ხელსაყრელი პირობები. ქალაქში არსებული მაღალდებიტიანი ძვირფასი თბილი გოგირდიანი წყალი და ქალაქის მახლობლად მდებარე მთელი რიგი კურორტები და სააგარაკო ადგილები — კოჯორი, მანგლისი, წყნეთი, კიკეთი, ბეთანია, მთაწმინდა, ოქროყანა, კრწანისი, მარტყოფი, ბევრეთი, საგურამო, გლდანი, მცხეთა, გომბორი და სხვანი, დიდ შესაძლებლობას ქმნიან თბილისის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის სამკურნალო და პროფილაქტიკური დახმარებისათვის.

განსაკუთრებით დაუფასებელ სამსახურს უწევს თბილისის მოსახლეობას მის მიღამოებში მდებარე კლიმატური სადგურები: კოჯორი, წყნეთი, კიკეთი, ოქროყანა, კრწანისი, მთაწმინდა და სხვ., სადაც მოსახლეობას შეუძლია დაისვენოს სამუშაოსაგან მოუწყვეტლად, მგზავრობაზე მინიმალური დროს დაკარგვით.

თბილისის ზოგიერთი საგარეუბნო კურორტი თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და სამკურნალო თვისებით არ ჩამორჩება მრავალ ჩვენს სახელგანთქმულ კურორტს. ასეთ კურორტებს შეიძლება მივაკუთნოთ, პირველ რიგში, თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი, კოჯორი, მანგლისი, წყნეთი, კიკეთი და ბევრეთი. კეთილმოწყობის და საკურორტო

საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენების პირობებში, ამ სამთო-კლიმატურ კურორტებს თავისუფლად შეუძლიათ განტვირთონ თბილისელი ავადმყოფებისა და დამსვენებლებისაგან ჩვენი სახელგანთქმული კურორტები—აბასთუმანი, შოვი, ბახმარო და სხვები, თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს — თავისი განთქმული თერმული გოგირდიანი წყალით—და კუმისის ტბას—მაღალხარისხოვანი სამკურნალო ტალახით—წყალტუბო, მაცესტა, მენჯი, ახტალა და სხვა ბალნეოლოგიური კურორტები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თბილისის და მისი გარეუბნის კურორტები ემსახურებოდნენ მხოლოდ მოსახლეობის შეძლებულ ფენებს; მშრომელი მოსახლეობა მოკლებული იყო ამ კურორტზე და სააგარაკო ადგილებზე დასვენების შესაძლებლობას. მეტად ძვირი და ამავე დროს მცირერიცხოვანი აგარაკები წარმოადგენდნენ მოსახლეობის მხოლოდ ერთი მუჭა პრივილეგირებული ნაწილის—მეფის ნაცვლის მოხელეებისა და ვაჭრების საზაფხულო ადგილსამყოფელს.

საბჭოთა მთავრობამ მეფის და მენშევიკური მთავრობები-საგან მემკვიდრეობით მიიღო ჩამორჩენილი და დანგრეული საკურორტო მეურნეობა. საბჭოთა მთავრობამ გაითვალისწინა კურორტული მკურნალობის დიდი მნიშვნელობა მოსახლეობის გაჯანსაღების საქმეში და დროულად გამოსცა მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებმაც უზრუნველჰყვეს საკურორტო რესურსების სახელმწიფოს ხელში გადასვლა, მათი მოვლა-პატრონობა და გეგმიანი საკურორტო მშენებლობა მშრომელთა ფართო მასების კურორტებზე მკურნალობისა და დასვენებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად.

კურორტების ბალნეოლოგიური რესურსების და კლიმატის სამკურნალო თვისებების შენარჩუნებისა და მოვლის მიზნით, გათვალისწინებულ იქნა კურორტების, მინერალური წყალის და საკურორტო მნიშვნელობის ტყეების სამთო-სანიტარული დაცვის ზონების გამოყოფა და მათი საზღვრების დაწესება. კერძოდ, თბილისისა და მისი გარეუბნის კურო-

ტების: კოჯორის, მანგლისის, კიკეთის და წყნეთისათვის 1931 წ. დაწესებული იქნა 22.000 ჰა ფართობის სამთო-სანიტარული დაცვის ზონა. ეს ზონები გამოყოფილ იქნა ყოფილ აღმულახ-მანგლისის და თბილისის გარეუბნის რაიონების ტერიტორიაზე.

უფრო გვიან, 1936 წელს, გაფართოებულ იქნა თბილისის გარეუბნის კურორტების და სააგარაკო ადგილების სამთო-სანიტარული დაცვის ზონა, ამ ზონაში ახალი სააგარაკო ადგილების—საგურამოს, გლდანის, მცხეთის, მარტყოფის, ძეგვის და ორბეთის (ყოფ. პრიუტის) ჩარიცხვით, რომელთაც მიენიჭათ საკურორტო-სააგარაკო მნიშვნელობა. იმავე წელს გამოყოფილ იქნა კუმისის ტბის სამთო-სანიტარული დაცვის ზონა ამ ტბის წყალისა და მაღალთვისებიანი სამკურნალო ტალახის დაცვის მიზნით გაბინძურებისა და ამოშრობისაგან.


ამრიგად, თბილისის და მისი გარეუბნის სამთო-სანიტარული დაცვის ზონაში მოქცეულია კურორტები და სააგარაკო ადგილები: თბილისი, მთაწმინდა, კოჯორი, მანგლისი, კიკეთი, წყნეთი, კუმისის ტბა, მარტყოფი, საგურამო, მცხეთა, ბეთანია, გლდანი, ავჭალა, ძეგვი, ოქროყანა, კრწანისი, წავკისი, ტაბახმელა, ორბეთი და სხვ.

საბჭოთა მთავრობის მიერ ჩატარებულმა ლონისძიებებმა ტყეების დაცვის, აღდგენისა და გამწვანების სამუშაოთა დარგში, უკვე იქმნია დაზებითი გავლენა თბილისისა და მისი გარეუბნის მიღამოების კლიმატზე.

თვით თბილისისა და მისი გარეუბნის მიღამოების საკურორტო რესურსების ათვისების საქმეში არსებული მიღწევები, კერძოდ თბილისის თერმული წყალის მანამდე აოხრებულ-გაბინძურებული რაიონის რაღიკალური რეკონსტრუქცია, ამ რაიონის ცენტრში გრანდიოზული ბალნეოლოგიური კორპუსის აშენება, მთაწმინდის პლატოს გაშიშვლებულ ადგილზე მშვენივრად გამწვანებული და კეთილმოწყობილი სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის გაშენება, ფუნიკულორის ზედა სადგურზე პავილიო-


ნის აშენება, მთაწმინდის პლატოს, მთის ყველა ფერდობის, მისი მიღამოების და კომქავშირის ხეივანის გამწვანება და კეთილმოწყობა, მთელ რიგ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა გახსნა კოჯორში, მანგლისში, წყნეთში, კიკეთში, ბეთანიაში და მრავალი სხვა სამუშაო, რომლებიც ჩატარებულია სტალინური ხუთწლედების პერიოდში, ნათელჰქოფენ იმ დიდ მზრუნველობას, რომლსაც იჩენენ ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და მთავრობა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ქალაქ თბილისის მრეწველობისა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება საგარეუბნო კურორტებისა და აგარაკების მნინვნელობა, ხოლო მათი შემდგომი გაფართოების, რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის გრანდიოზული გეგმების განხორციელება სავსებით უზრუნველყოფს თბილისის მოსახლეობას კურორტული მკურნალობით და დასვენებით.





თბილისი — ბალნეოლოგიური კურორტის საბაზარო შენობა.



თბილისი — მეტეხის მუზეუმი.

ბალნეოლოგიური კურორტი



თბილისი—საქართველოს უძველესი პოლიტიკური და კულ-
ტურულ-ეკონომიკური ცენტრი—წარმოადგენს მსოფლიოს
ერთ-ერთ უძველეს ქალაქს.

თბილისი პირველად იხსენიება IV საუკუნის მეორე ნა-
ხევრის წერილობით ძეგლში, როდესაც სპარსელებმა პირვე-
ლად დაამყარეს თავიანთი პოლიტიკური გავლენა აღმოსავ-
ლეთ საქართველოში.

საქართველოს უძველესი დროის მატიანეს მიხედვით, აღმოსა-
ვლეთ საქართველოს მეფის ვარაზ-ბაკურის დროს (VI საუკ. მე-
ორე ნახევარი) სპარსეთის პიტიახში თავის რეზიდენციად ირჩევს
ადმინისტრაციულ, სამეურნეო და სამხედრო სტრატეგიული
თვალსაზრისით ყველაზე უფრო ხელსაყრელ ცენტრს—თბი-
ლისს და აქედან თვალყურს აღევნებს აღმოსავლეთ საქარ-
თველოს მეფეების მოქმედებას; ამ პერიოდში საქართველოს
მეფეების რეზიდენცია იყო უძველესი დედა-ქალაქი მცხეთა,
რომელიც მდებარეობს თბილისიდან სულ 20 კილომეტრის
მანძილზე.

თვით სახელწოდება „თბილისი“ წარმოიშვა სიტყვიდან
„თბილი“, რაც დაკავშირებულია ამ ქალაქში არსებულ
სახელგანთქმულ თბილ გოგირდიან წყაროებთან.

ისტორიული წყაროების მიხედვით, თბილისი IV-V საუკ.
ქართლის მნიშვნელოვანი ცენტრია, VI საუკ. იგი უკვე ქარ-
თლის დედა-ქალაქია.

ჩვენამდე მოღწეული თქმულების მიხედვით, თბილისი
დაარსებულია მეხუთე საუკუნეში, საქართველოს სახელგანთ-
ქმული მეფის ვახტანგ გორგასალის მიერ. ეს თქმულება
გადმოგვცემს: ერთხელ მეფე ვახტანგი ტყეში ნადირობ-

და; აფრენილ ხოხობს მან მიმინო დაადევნა, მაგრამ მალე ორივე დაეკარგა მხედველობიდან. როდესაც მეფე წავიდა მათ საძებნად, ორივე მოხარშული იპოვნა ცხელ წყაროში, რომელსაც გოგირდის სუნი ასდიოდა. ამ წყაროებმა და ბუნებამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მეფეზე, ისე მოხიბლა ის, რომ მან განკარგულება გასცა ამ აღგილზე აეშენებინათ ქალაქი და მისთვის თბილისი ეწოდებინათ. შემდეგში მას აქ გადმოუტანია თავისი რეზიდენცია.

თბილისის აღწერილობა მოყვანილი აქვს მეათე საუკუნის არაბ გეოგრაფს იბნ-ჰაუკალს, რომლის სიტყვებით: „ . . . იქ არის აბანოები, საღაც წყალი უცეცხლოდ დუღს . . . “

VI საუკუნიდან X-დე თბილისი განუწყვეტლივ იმყოფებოდა მტრების გარემოცვაში და ხელიდან ხელში გადადიოდა. იგი რამდენჯერმე იყო ნანგრევებად ქცეული და გადამწვარი სპარსელების, ხაზარების, ბერძნების და არაბების მიერ, მაგრამ მოკლე ხნის განმავლობაში ისევ ხდებოდა მისი აღდგენა. სომეხი მემატიანე უხტანესი თბილისს უწოდებს საქართველოს „დიდებულ დედა-ქალაქს . . .“

• • განსაცვიფრებლად ნაგებს, საუცხოოსა და საკვირველს“. თბილისის გაფართოება-გამშვენიერება და კეთილდღეობა მჟიდროდ არის დაკავშირებული დავით ალმაშენებლისა და თამარის მეფობასთან.

XIII საუკუნიდან XVII საუკუნემდე თბილისი, ხანმოკლე მშვიდობიანი პერიოდების გამოკლებით, ისევ წარმოადგენდა დამპყრობელთა—ხან სპარსელების, ხან მონლოლების—თავდასხმების ობიექტს. XVII საუკუნის დასაწყისში საქართველოს მეფე როსტომმა ხელახლა აღადგინა თბილისი, რომელიც განადგურებული იყო შაჰ-აბაზის მიერ; მან აქ ააშენა მშვენიერი სასახლე მინერალური წყაროების მახლობლად და განაახლა თბილისის აბანოები.

ცნობილი ქართველი მეცნიერი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი XVII საუკუნის მეორე ნახევარში იხსენიებს თბილისის ცხელ წყაროებს და მათთან მოწყობილ აბანოებს.

ცნობილი ფრანგი მოგზაური შარდენი XVII საუკუნის მეორე ნახევარში ვრცლად აღწერს თბილისის აბანოებს და სხვა-თა შორის, ალნიშნავს, რომ აქ საბანაოდ დადიან არა მარტო ჯანმრთელნი, არამედ სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილებიც, რაც იმას მოწმობს, რომ თბილისის გოგირდიანი წყალით უკვე მაშინ სარგებლობდნენ სამკურნალო მიზნით.

თბილისი, რომელმაც V-დან XVIII საუკუნემდე ბევრ-ჯერ განიცადა ნგრევა-განადგურება, 1795 წელს კიდევ ერთხელ გახდა მსხვერპლი უმაგალითო სიმკაცრისა და აოხრებისა სპარსეთის შაჰის ალა-მაჰმად-ხანის მხრივ; მან კარგად იცოდა თბილისის გოგირდიანი წყალის მაღალი სამკურნალო თვისებანი, რამდენჯერმე მიიღო ამ წყალის აბაზანები, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ სქესობრივი ცხოვრების დაკარგულ უნარს ის ვერ დაიბრუნებდა ამ აბაზანებით (ალა-მაჰმად-ხანი კასტრირებული იყო), ბრძანა, დაენგრიათ აბაზოები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, თბილისის გოგირდიანი წყაროები წარმოადგენდნენ ცალკე პირთა კერძო საკუთრებას. მესაკუთრეებმა ეს სახალხო მნიშვნელობის ძვირფასი სამკურნალო წყაროები გადააქციეს მტაცებლური უქსპლოატაციის ობიექტად. მათ სრულიად არ აინტერესებდათ ამ წყაროების კეთილმოწყობა და სამკურნალო გამოყენება.

განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იპყრობს თბილისის გოგირდიანი წყაროები მეცხრამეტე საუკუნიდან. მას ესტუმრნენ როგორც ჩვენი, ისე საზღვარგარეთელი მეცნიერები და მოგზაურები, რომლებმაც დასტოვეს თავიანთი შთაბეჭდილებებისა და სურვილების წერილობითი კვალი ამ წყაროების შესახებ (ტურნეფორი, დელაპორტი, პარიტი, დიუბუა და სხვ.).


რუსეთის უდიდესმა პოეტმა ა. პუშკინმა, რომელმაც 1833 წელს არზრუმში გამგზავრებისას გავლით ინახულა თბილი-

სის გოგირდიანი წყალი და იბანავა აქაურ აბანოში, შემ-
 დეგი სიტყვებით გამოთქვა თავისი აღტაცება: „ჩემს სიცოც-
 ხლეში არაფერი შემხვედრია თბილისის აბანოებზე უმშვენი-
 ერესი არც რუსეთში და არც ოსმალეთში“.

1866 წელს კავკასიაში მეფის ნაცვლის განკარგულებით
 თბილისის მინერალური წყაროების შესწავლას შეუდგა კო-
 მისია მსოფლიოში ცნობილი გეოლოგის აკადემიკოს აბიხის
 ხელმძღვანელობით. კომისიამ გამოიმუშავა მეტად საგულის-
 ხმო ლონისძიებანი მინერალური წყალის სამკურნალოდ გა-
 მოყენებისა და აბანოების მშენებლობის შესახებ.

აბიხის წინადადება, რომ მინერალური წყაროები ერთი გამ-
 გებლობის ხელში გადასულიყო და სამკურნალო მიზნით ყოფი-
 ლიყო გამოყენებული, თუმცა გაიზიარა იმ დროის თბილისის
 გუბერნიის ექიმმა კარპოვიჩმა, მაგრამ მთავრობამ არ დაუ-
 ჭირა მხარი ამ წინადადებას. ამავე დროს, თბილისის ქალა-
 ქის თვითმმართველობის წევრებისათვის, რომლებიც შედიოდ-
 ნენ მინერალური წყალის კერძო მესაკუთრეთა სიაში, ეს
 ლონისძიება არ იყო ხელსაყრელი, რადგან ისინი კარგავ-
 დნენ შემოსავლის წყაროს.

აბიხის მასალების გამოქვეყნების შემდეგ, თბილისის ბალ-
 ნეოლოგიური კურორტის დაარსების და სახელმწიფოს ხელ-
 ში მინერალური წყაროების გადაცემის საკითხი დღის წეს-
 რიგიდან არ მოხსნილა. იგი ხდება პრესის, საექიმო და ტექ-
 ნიკური თათბირების, სხდომებისა და კომისიების მსჯელო-
 ბის საგნად იმ დროის საზოგადოების საუკეთესო წარმო-
 მადგენლების მონაწილეობით და ნიჭიერი საზოგადო მოლვა-
 წის ნიკო ნიკოლაძის ხელმძღვანელობით. სდგება თბილისის
 ბალნეოლოგიური კურორტის ორგანიზაციის სტუადასხვა ვა-
 რიანტი და პროექტი, მაგრამ საქმის წინსვლა ფერხდება
 ორი ძირითადი მიზეზის გამო: პირველი მიზეზი იყო ის,
 რომ ქალაქის თვითმმართველობას არ გააჩნდა სათანადო
 ფინანსური საშუალება ბალნეოლოგიური ზონის და წყაროე-



თბილისი — ჩანჩქერი ბოტანიკურ ბაღში.



თბილისი — მამა-დავითის ეკლესია და პანთეონი
გთაწმინდას ფერდობზე.

ბის კერძო მესაკუთრეთაგან გამოსაყიდად და მეორე, მთავარი მიზეზი კი იყო ის, რომ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობა ხელსაყრელი არ იყო თბილისის აბანოების კერძო მესაკუთრეებისათვის, რომლებიც ამავე დროს ქალაქის თვითმმართველობის წევრები იყვნენ და მათ ხელში იმყოფებოდა იმ დროს თბილისის ბედ ილბალი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით მოისპონ თბილისში ბალნეოლოგიური კურორტის შექმნის შემაფერხებელი ყველა მიზეზი.

1930 წელს შედგენილ იქნა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის კეთილმოწყობის პროექტი, რომლის მიხედვით კურორტის ტერიტორიაში შედის ქალაქ თბილისის სამხრეთაღმოსავლეთ ნაწილში მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ყოფილი თათრის მოედნის, ორთაჭალისა და კრწანისის ბალების, ნარიყალას ციხისა და ბოტანიკური ბაღის ფართობები. აღნიშნული ბალები შემდეგში უნდა გადაიქცნენ ავადმყოფთა დასასვენებელ ადგილად. ამ ტერიტორიის სიგრძე აღწევს 2 კილომეტრამდე, ხოლო სიგანე 700—800 მეტრამდე. კურორტის ტერიტორიის მთელი ფართობი დაახლოებით 400 ჰექტარს შეადგენს. აქედან დაახლოებით ნახევარი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკურორტო მშენებლობისათვის.

თბილისის ეს უძველესი ნაწილი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, სანიტარული თვალსაზრისით წარმოადგენდა გადამდებ სწორულებათა კერას, რადგან აქ არც საბინაო და არც საერთო სანიტარიას არავითარი ყურადღება არ ექცეოდა; ეს ადგილი მჭიდროდ იყო დასახლებული, ქუჩები მეტად ვიწრო და ძნელი გასასვლელი, შიგა და შიგ ვხვდებოდით ქუჩების მაგიერ საცალფეხო გზებს, ნახევრად დანგრეული საცხოვრებელი სახლებით. ამ ნაწილში ცხოვრობდა ქალაქის ულარიბესი მოსახლეობა, რომლის კეთილდღეობაზე ქალაქის მმართველობა სრულიად არ ზრუნავდა. ქალაქის ეს უბანი მოითხოვდა სასწრაფო რეკონსტრუქციას. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჩა-

ტარებულ რაღიკალურ ლონისძიებათა შედეგად, ქალაქის ეს
 ნაწილი ჩვენ თვალწინ გადაიქცა კულტურულ და კუ-
 თილმოწყობილ რაიონად ფართო გუდრონირებული ქუჩებით,
 მწვანე ნარგავებით, ბალებით და ყვავილნარებით. მის
 განახლებულ ტერიტორიას უკვე ამშვენებს გრანდიოზული
 და კომფორტულად მოწყობილი სააბაზანო შენობა—მომავა-
 ლი დიდი ბალნეოლოგიური კურორტის პირველი მერცხალი.

მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური დასასიათება

თბილისი მდებარეობს მდ. მტკვრის ხეობაში. მისი გეო-
 გრაფიული კოორდინატებია: $41^{\circ} 43' 8''$ ჩრდილოეთის განე-
 დი და $44^{\circ} 47' 51''$ აღმოსავლეთის გრძელი.

თბილისისა და მისი მიდამოების რელიეფი ფრიად
 მრავალფეროვანია. ქალაქის ჩრდილოეთით, დაახლოებით
 100 კილომეტრის მანძილზე, აღმართულია კავკასიონის მთა-
 ვარი ქედი თავისი მუდამ თოვლიანი მაღალი მწვერვალებით
 (იალბუზი 5629 მ, ყაზბეგი—5043 მ ზღვის დონიდან). თბი-
 ლისიდან დასავლეთით მდებარეობს ქართლ-იმერეთის (სუ-
 რამის) ქედი, რომელიც მთავარ კავკასიონის ქედს აერთებს
 მესხეთის ქედთან და წარმოადგენს შავი და კასპიის ზღვათა
 წყალგამყოფს. სამხრეთ-დასავლეთით თბილისის მიდამოები
 შემოზღუდულია თრიალეთის ქედის შტოებით, რომლებიც
 იწყება ბორჯომიდან და მთავრდება თბილისთან ორი შტო-
 თი; ერთი მათგანი მიიმართება ჩრდილო-აღმოსავლეთით
 მცხეთამდე, მეორე კი სოლანლულის მთავრეხილის სახელწო-
 დებით მთავრდება თბილისის ქვემოთ.

თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ჰორიზონტი ლია: აქ იწყება ყარაიას ველი, რომელიც გადადის აზერბაიჯანის
 ველში და გრძელდება კასპიის ზღვამდე.

ამრიგად, სამხრეთით და ჩრდილოეთით თბილისი დაცუ-
 ლია მაღალი მთებით, დასავლეთით შავი ზღვიდან მას აშო-
 რებს. შედარებით დაბალი ქართლ-იმერეთის ქედი, აღმო-

სავლეთით კი კასპიის ზღვის მიმართულებით ჰორიზონტი სრულიად გაშლილია.

თვით ქალაქი მდებარეობს ქვაბურში, საშუალოდ 440 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მას უშუალოდ აკრავს გარშემო მცირე მაღლობები: აღმოსავლეთით—მახათის მთა (655 მ), სამხრეთ-სოლოლაკის ქედი, დასავლეთით მთაწმინდა (760 მ), ჩრდილოეთით—საბურთალოს და დიღმის ქედი, რომელიც შემდეგ იხურებიან კავკასიონის ქედის შტოებით.

თბილისის და, კერძოდ, მისი ბალნეოლოგიური ნაწილის კლიმატის დასახასიათებლად არსებობს ათეული წლების განმავლობაში დაგროვილი მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მონაცემები. ამ მონაცემების მიხედვით თბილისის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის $+12,6^{\circ}$, საშუალო თვიური ტემპერატურა ყველაზე უფრო ცხელ ივლისის თვეში უდრის $+24,1^{\circ}$, ყველაზე უფრო ცივი თვის—იანვრის საშუალო თვიური ტემპერატურა შეადგენს $+1,2^{\circ}$. დაკვირვებათა მთელ მანძილზე მაქსიმალური ტემპერატურა მხოლოდ ერთხელ ასულა 40° -მდე (1913 წლის ივლისში), მინიმალური კი დასულა $-18,4^{\circ}$ -მდე (1935 წლის 3/I).

ნალექების რაოდენობა თბილისში წლის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 517 მმ. თოვლიან დღეთა რაოდენობა—15,9, წლის საშუალო ფარდობითი ტენიანობა—64,4 %, ნათელ და ნახევრად ნათელ დღეთა რიცხვი წელიწადში უდრის 250, ღრუბლიან დღეთა რიცხვი—115; ქარების საშუალო სისწრაფე—3 მეტრს წამში (ყველაზე ხშირი ქარები თბილისში იცის მარტსა და აპრილში). კურორტის რაიონში ქარის საშუალო სისწრაფე შეადგენს 1,2 მეტრს წამში (ბოტანიკური ბალი). მზის ნათების ხანგრძლიობა წელიწადში შეადგენს საშუალოდ 2180 საათს, დღეში კი 6 საათს. მზის ნათების მაქსიმალური ხანგრძლიობა აღნიშნულია ივლისში და უდრის 9,1 საათს, მინიმალური კი—დეკემბერში შეადგენს დღეში საშუალოდ 3,1 საათს.

მოყვანილი მონაცემების მიხედვით, თბილისის ჰავა უნდა დავახასიათოთ როგორც შედარებით ზომიერი. კონტინენ-

ტალური, ცხელი ზაფხულით და მსუბუქი, თბილი ზამთრით, რაც აძლიერებს ბალნეოლოგიური მკურნალობის ეფექტიანობას.

მინერალური ჭყაროები

(მოკლე ჰიდროგეოლოგიური და ფიზიკურ-ქიმიური დახასიათება)

როგორც ზემოთ იყო ნათევამი, თბილისის თერმული გოგირდიანი წყაროები პირველად საფუძვლიანად გამოიკვლია აკადემიკოსმა აბიხმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. აბიხმა მოგვცა ადგილის გეოლოგიური აღწერა და აღნიშნა ამ მინერალური წყაროების სამკურნალო მიზნით გამოყენების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობა.

ამის შემდეგ, კავკასიის სამთო სამმართველოს მიერ 1911 წელს ჩატარებულ იქნა მინერალური წყაროების რაიონის გეოლოგიური გამოკვლევა.

თბილისის თერმული წყაროების რაიონში ყოველმხრივი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფართო გაშლა შესაძლო შეიქნა საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

1932 წლისათვის თბილისის მინერალური წყალის ბუნებრივ გამოსავალთა რაოდენობა 35-მდე აღწევდა (მათ შორის 5-მდე ცივი წყლის გამოსავალი), 1.300.000 ლიტრი საერთო დებიტით დღე-ლამეში.

ყველა წყარო, გარდა გოგილოს და ჩითახოვის წყაროებისა, მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე სეიდ-აბალის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდობზე; გოგილოს და ჩითახოვის წყაროები მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

თბილისის მინერალური წყალის ცირკულაციის სილრმე, პროფ. ი. კაჭარავას განსაზღვრით, დაახლოებით 1200—1300 მეტრია.

ამიერკავკასიის გეოლოგიურ სამმართველოსთან ერთად საქართველოს სსრ კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1933—1935 წლებში ჩატარებულ დეტალურ საკვლევ-საძი-ებო ბურღვითი სამუშაოების შედეგად, მინერალური წყაროების საერთო დებიტი გაძლიერებულ იქნა 500,000 ლიტრით დღე-ლამეში. ამავე დროს სამი ბურღლილიდან, რომელთაგან თითოეულის სიღრმე აღწევდა 110 მეტრს, ორმა ბურღლილმა (№ 1, № 2) მოგვცა 850.000 ლიტრი დებიტი დღე-ლამეში. ამის შედეგად აქამდე არსებული მინერალური წყაროების საერთო დებიტი 1.300.000 ლიტრიდან გაიზარდა 1.750.000—1.800.000 ლიტრამდე. № 3 ბურღლილმა მინერალური წყალის თვითდენი არ მოგვცა. ამასთანავე, ერთ-ერთმა ბუნებრივმა წყარომ (ყოფ. ჩითახოვის) სრულიად შეწყვიტა დებიტი.

ახალი ბურღლილების ბაზაზე აშენდა თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის გრანდიოზული, მშვენივრად მოწყობილი სააბაზანო შენობა, რომელიც გაიხსნა 1938 წელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ლრმა ბურღვის ჩატარებამდე, 180-მეტრამდე ზერელე ბურღვის საშუალებით განსაზღვრულ იქნა თერმული წყლის ცირკულაციის კერები მინერალური წყაროების რაიონში; შემდეგ, ამის საფუძველზე, ჩატარებულ იქნა როგორც პირველადი (1933—1935 წ.), ისე შემდგომი ბურღვითი სამუშაოები.

პირველად ჩატარებული სამუშაოებით სრულიად არ ამოწურულა თბილისის ბალნეოლოგიური რესურსების სათანადო წესრიგში მოყვანის საკითხი. მინერალური წყალის ყველა წყაროდან მხოლოდ ორი მუშაობდა ნორმალურ პირობებში—№ 1 და № 2 ბურღლილები, რომლებიც მიღებულ იქნენ, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, 1933—1935 წლებში ჩატარებულ პიდროვეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად. დანარჩენი წყაროები წარმოადგენდნენ მინერალური წყალის ბუნებრივ გამოსავალებს, რომელთაც ჰქონდათ ძველი ზერელე საკაპტაზე ნაგებობანი (მიწისქვეშა ხვრელები და სხვა). ამის გამო ისინი არ იყვნენ დაცული სისტემატური გაჭუჭყიანებისაგან;

ამავე დროს იყარგებოდა მინერალური წყალის დიდი რაოდენობა.

გარდა ამისა, მინერალური წყაროები გაფანტული იყო დიდ ტერიტორიაზე, წყალი სხვადასხვა ტემპერატურისა იყო, რაც აძნელებდა მათ მიზანშეწონილ ექსპლოატაციას.

თბილისის თერმული წყაროების რაიონში, ჰიდრომინერალური რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 1945 წლის 1 მაისიდან შეუდგა ფართო სამუშაოების ჩატარებას. ამ სამუშაოების მიზანი იყო ყველა წყაროს წყალის მოგროვება რამდენიმე ადგილას ღრმა საკაპტურე ნაგებობათა საშუალებით, მინერალური წყალის დებიტისა და ტემპერატურის გადიდება და მათი დაცვა ყოველგვარი გაჭუჭიანებისაგან.

1945 წელს დაწყებული გეგმით გათვალისწინებული ბურღვითი სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია 100—250 მეტრის სილრმის ხუთი ბურღლილის გაყვანით. ამ სამუშაოთა ჩატარების დროს პარალელურად მიმდინარეობდა სისტემატური ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და რადიოლოგიური გამოკვლევა, აგრეთვე საცდელი სამუშაოები და დაკვირვებანი წყაროების რეჟიმზე.

1945—1947 წლებში ჩატარებულ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგად ყველა მინერალური წყაროს საერთო დებიტი ალწევდა დღე-ლამეში 3.000.000 ლიტრს. ბურღვითი სამუშაოები ახლაც გრძელდება და ამიტომ საბოლოო დებიტი ჯერ დადგენილი არ არის.

საერთო დებიტიდან ამჟამად მინერალური წყალი ეძლევა 11 ობიექტს, მათ შორის ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობას, თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გოგირდ-წყალ-ტალახსამკურნალოს და კომუნალური განყოფილების აბანოს ტრესტის ცხრა ჰიგიენურ აბანოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში ბუნებრივი მინერალური წყაროების დებიტი შემცირდა 950.000 ლიტრი-

დან 350.000 ლიტრამდე დღე-ღამეში, ხოლო საერთო დებიტი 1.750.000 ლიტრიდან გაიზარდა 3.000.000 ლიტრამდე.

ზოგიერთი ბუნებრივი წყარო სრულიად ამოიწურა და დებიტს არ იძლევა.

თბილისის მინერალური წყალი თავისი ფიზიკურ-ქიმიური მონაცემების მიხედვით მიეკუთვნება თერმულ და ჰიპერთერმულ (თბილ და ცხელ) ჰიდროსულფიდურ წყლებს—ევროპის სახელგანთქმული კურორტების ცნობილი წყლების ტიპს (კოტერე, ბარეუი, ვალდერი, ექს-ლებენი, ამელი-ლე-ბენ, ლევერნე, ლე-პრესტი და სხვ.).

24. 2 / 3 წყალის მეტი ნაწილის მინერალიზაცია მერყეობს 0,3—0,4 გ ერთ ლიტრში. ცალკეული წყაროების ტემპერატურა შერყეობს 37° — $46,5^{\circ}$ ფარგლებში.

ანიონებიდან წყალი შეიცავს ქლორს, ჰიდროკარბონატს და სულფატს თითქმის თანაბარი რაოდენობით. კათიონებიდან სჭარბობს ნატრიუმის იონები; იგი შეიცავს აგრეთვე კალციუმს და მაგნიუმს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1945—1947 წლებში ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა ჩატარების შედეგად ერთი ბურლილიდან (№ 6), რომლის სილრმე 250 მეტრია (გაყვანილია ამ რაიონის ღრმა ჰორიზონტების დაზვერვის მიზნით), მიღებულ იქნა მინერალური წყალი დიდი დებიტით (600.000 ლიტრი დღე-ღამეში). ამ ბურლილის წყალი, დაბალ ტემპერატურასთან ერთად, დანარჩენ ყველა წყაროს წყალისაგან განირჩევა გოგირდ-წყალბადის შედარებით მაღალი შემადგენლობით (40 მგ ერთ ლიტრში) და მეტი მინერალიზაციით (0,75 გ ერთ ლიტრში). უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წყალს, ზოგი დაავადების დროს, მეტი სამკურნალო ეფექტი ექნება, რითაც იგი უფრო მეტად გაადიდებს თბილისის თერმული წყალის ბალნეოლოგიურ მნიშვნელობას.

თბილისის თერმული წყალის ბალნეოლოგიურ ღირებულებას ადიდებს მისი რაღიაქტივობა, აგრეთვე მასში შემავალი ნიკელის ნიშნები და სტრუვეს მიერ 1876 წელში აღმოჩენილი განსაკუთრებული კოლოიდები, ეგრეთ წოდებული გლუ-

2. თბილისის კურორტები.



რინი ან ბარეფინი (უკანასკნელ დროს „თბილისინის“ სახელ-წოდებით ცნობილი — ციციშვილი) კოლოიდებში შედის სილი-ციუმი, გოგირდი და მიკროორგანიზმები, რომლებიც მიწის წიაღიძან ზევით ამოდიან და წყალის ბიოლოგიური აქტი-ვატორების როლს ასრულებენ.

ეს კოლოიდური ნივთიერება, რომელსაც ბალნეოლოგია-ში მაღალი სამკურნალო მნიშვნელობა ენიჭება, აღმოჩენილი იყო ლონგშაპის მიერ ასზე მეტი წლის წინათ ბარეფის ცხელ გოგირდიან წყაროებში (საფრანგეთი).

ნახშირგეოლოგიის ტრესტის მიერ 1951—53 წლებში თბილისში ჩატარებულ იქნა გეოლოგიური სამუშაოები, რო-მელთა მიზანს შეადგენდა ორმა სტრუქტურული ბურლილე-ბის საშუალებით თერმული მინერალური წყალის მიღება.

პირველი ბურლილიდან, ბოტანიკური ბალის მიღა-მოებში, 1245 მეტრის სილრმიდან მიღებულია თბილისის თერმული წყალის ტიპის $46-48^{\circ}$ ტემპერატურის მინერა-ლური წყალი 600.000 ლიტრი დებიტით დღე-ლამეში და $0,3-0,4$ გ/ლ საერთო მინერალიზაციით.

მეორე ბურლილიდან, ნავთლულის მიღამოებში მდ. მტკვრის პირზე, 1135 მეტრი სილრმიდან მიღებულია 30° ტემპერატურის ქლორიდულ-ნატრიუმ-კალციუმიანი წყალი 550.000 ლიტრი დებიტით დღე-ლამეში და 2,5 გ/ლ საერ-თო მინერალიზაციით.

მესამე ბურლილიდან, ქალაქის ცენტრალურ აღგი-ლას სტალინის სახ. სანაპიროზე (ბარათაშვილის სახელობის ხიდის მახლობლად) 500 მეტრის სილრმიდან მიღებულია 25° ტემპერატურის და 1,2 გ/ლ საერთო მინერალიზაციის წყალი; ბურლილის 850—1040 მეტრამდე გაღრმავების შე-დეგად ტემპერატურა აიწია $\approx 35^{\circ}$ -მდე, მინერალიზაცია შემ-ცირდა $0,4$ გ/ლ და დებიტი გაღიდდა 40.000-დან 130,000 ლიტრამდე დღე-ლამეში. ამ წყალში გოგირდ-წყალბადის რა-ოდენობა აღწევს 20 მგ/ლ.

მეოთხე ბურლილიდან (აბრეშუმის ქარხნის მახლობ-ლად) 874—1521 მეტრის სილრმიდან მიღებულია მინერა-

ლური წყალი 1,0 მინერალიზაციით, 24° ტემპერატურით
 და 35.000 ლიტრი დებიტით; იგი თავისი ქიმიური შემად-
 გენლობით ახლოს დგას თბილისის თერმულ გოგირდიან
 წყალთან.

მეხუთე ბურლილიდან (ნავთლულის რაიონში) 982
 მეტრის სიღრმემიდან მიღებულია მინერალური წყალი, რომლის
 დებიტი დღე-ღამეში აღემატება ერთ მილიონ ლიტრს, 40°
 ტემპერატურით, და 3,3—4,5 გ/ლ მინერალიზაციით. ქიმი-
 ური შემადგენლობით ეს წყალი მიეკუთვნება ქლორიდულ-
 ნატრიუმ-კალციუმიან წყალს. იგი განსხვავდება თბილისის
 თერმულ-გოგირდიანი წყალისაგან.

მეექვსე ბურლილის სიღრმე მე ლისის ტბის მიდამო-
 ებში დაყვანილია 1400 მეტრამდე. აქ ჯერჯერობით შედე-
 გები არ არის მიღებული და ბურლვა გრძელდება.

თბილისის მინერალური წყალის საბადოების რაიონში
 ჩატარებულ ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოთა შედეგები ასა-
 ბუთებენ ამ რაიონში ახალი ჰიდრომინერალური რესურსების
 გამოვლინების დიდ შესაძლებლობებს, რაც კიდევ უფრო
 გააფართოვებს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის გან-
 ვითარების პერსპექტივებს.

თბილისის თერმული წყალის სამკურნალო გნივველობა

კლინიკურ-ექსპერიმენტულმა დაკვირვებებმა, რომლებიც
 ჩატარებულია მთელი რიგი სპეციალისტების მიერ (ა. ალა-
 დაშვილი, მ. ზანდუკელი, ვ. ანდლულაძე, დ. ჯავახიშვილი,
 პ. ბუაჩიძე, ი. ცინცაძე, ვ. გერსამია, გ. პონდოევი, გ. ფხა-
 ლაძე, ს. ანდრეევა, ნ. მეგრელიშვილი და ლ. კურპანოვა,
 ნ. ოქროპირიძე, ვ. გუდიაშვილი, ვ. მახარაძე, ა. ბურჯანაძე,
 მ. თოფურიძე, ს. ხურშუდიანი, გ. ბახტაძე, ნ. ძაგანია,
 დ. მიქელაძე და ა. პარასტაევი, გ. მლებრიშვილი, ე. ჩილინგა-
 რიშვილი, ლ. ბიბილური, ნ. ანდრონიკაშვილი, ნ. ცხომელიძე,

ღ. ჭიჭინაძე და სხვ.) დაადასტურა თბილისის თერმული წყალის უდავო მაღალი თერაპიული ეფექტიანობა. ამ დაკვირვებათა შედეგები საფუძვლად დაედო თბილისის თერმული წყალის როგორც სამკურნალო გამოყენების დოზირებასა და მეთოდიკას, ისე მკურნალობის ჩვენებათა და წინააღმდეგ-ჩვენებათა გამომუშავებას.

გამოირკვა, რომ თბილისის მინერალური წყალის აბაზანა (35—38°) შეიძლება დანიშნულ იქნეს დღეგამოშვებით ან ყოველ დღე, საშუალოდ 15 წუთის ხანგრძლიობით; მკურნალობის საერთო კურსი საშუალოდ უდრის 15—20 აბაზანას, ავადმყოფობის სიმძიმისა და ხასიათის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის მინერალურ წყალს, რომელიც დღემდე იხმარება მხოლოდ ამბულატორიულ პირობებში, არ შეუძლია მოგვცეს ის თერაპიული ეფექტი, რასაც სტაციონარული, სანატორიული მკურნალობის პირობებში მოგვცემდა.


თბილისის თერმული წყაროების ბაზაზე სტაციონარის შექმნა, უეჭველად, მნიშვნელოვნად შეამცირებს ავადმყოფთა გაგზავნის საჭიროებას სხვა ბალნეოლოგიურ კურორტებზე. (წყალტუბო, მაცესტა, მენჯი, ახტალა და სხვ.).

თბილისის ბალნეოლოგიურ კურორტს აქვს ერთი უპირატესობა სხვა კურორტთა წინაშე. ეს უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი ახლოსაა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, სადაც მისი ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლის ყველა პირობა არსებობს.

თბილისის მომავალი ბალნეოლოგიური კურორტის სააბაზანო შენობა, მასთან აუცილებელი სტაციონარით, უნდა გადაიქცეს საქართველოს სსრ კურორტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძირითად ბაზად თბილისის კურორტული რესურსების, მათ შორის კუმისის ტბის დიდი სამკურნალო ღირსების, ტალახის, ყოველმხრივი შესწავლისა და საქართველოს კურორტებისათვის სათანადო კადრების მომზადებისათვის.



საქართველო
გიგანტური



თბილისი — ბალნეოლოგიური კურორტის რაიონი.



თბილისი — მდ. მტკვარი მინერალური წყაროების რაიონში.

ავადგულოვთა გაურნალობის ჩვენებაზე

1. სახსრების ქრონიკული დაავალებანი (რევმატიზმული, ინფექციური, ტრავმული, ენდოკრინული, ნიკრისული და აგრეთვე სხვადასხვა ხასიათის ართრალვია).
2. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავალებანი, როგორც კომპენსაციის, ისე დეკომპენსაციის სტადიაში (I—II ხარისხი ლანგით);
3. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავალებანი (სხვადასხვა სახისა და წარმოშობის ნევრიტები, ნევრალგიები);
4. ნერვული სისტემის ფუნქციური დაავალებანი (მსუბუქი და საშუალო ხარისხის ნევროზები და ნევრასთენია).
5. ქრონიკული გინეკოლოგიური დაავალებანი (საშვილოსნოს, საკვერცხეების და მათი დანამატის ანთებითი პროცესები და სხვ.);
6. კუნთების, მყესების ანთება და კუნთების ტკივილი სხვადასხვა წარმოშობისა;
7. არტერიული ჰიპოტონია და ჰიპერტონიული დაავალება (მსუბუქი და საშუალო სიმძიმის);
8. ნივთიერებათა ცვლის დაავალებანი;
9. კანის ზოგიერთი ქრონიკული დაავალება (ფსორიაზი, ეგზემა და სხვ.).

შინააღმდეგობაზე

1. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავალებანი დეკომპენსაციის სტადიაში (II და III ხარისხი ლანგით);
2. ჩვენებებში აღნიშნული ყველა დაავალება მწვავე პერიოდში;
3. საერთო და ტვინის სისხლძარღვთა სკლეროზი;
4. ჰიპერტონიული დაავალების მძიმე ფორმა;
5. ავთვისებიანი სიმსივნეები;

თბილისის მინერალური (თერმული) წყალის ქიმიური
ანალიზი—ბურლილი № 2

ნიმუში აღებულია 1945 წლის 26/10

ტემპერატურა— $43,2^{\circ}$ —318,800 ლ.24 საათში

შშრალი ნაშთი, გამოშრობილი 105° —0,338 გრამი

	გრამები ერთ ლიტ. რში	მგ/მკნ.	მგ/მკნ. % % -ში
Na+k	0,0994	4,33	73,14
Ca"	0,012	0,60	10,14
Mg"	0,012	0,99	16,72
Cl'	0,0923	5,92	100,0
SO ₄ "	0,0650	2,60	143,92
NS'	0,0190	0,57	9,62
HCO ₃ '	0,0854	1,40	23,65
თავისუფალი H ₂ S . . .	0,003		
საერთო მინერ. PH	0,3881 7,7	5,02	100,00

კურლოვის ფორმულა: H₂S 0,003M0,38 $\frac{\text{Cl}43\text{HCO}_324\text{SO}_423}{\text{Na}73}$ t° 43,2°,

თბილისის მინერალური (თერმული) წყალის ქიმიური
 ანალიზი—ბურღილი № 8

ნიმუში აღებულია 1947 წლის 29/9

ტემპერატურა— $46,6^{\circ}$ დებიტი 500.000 ლ. 24 საათში
 გზრალი ნაშთი, გამოშრობილი 110° —0,328 გრამი

ი ნ ნ ე ბ ი	გრამები ერთ ლიტრში	მგ/ლკ.	მგ/ლკ %-%-ში
Na+K	0,0874	3,80	86,18
Ca	0,0100	0,50	11,33
Mg"	0,0013	0,11	2,49
Cl'	0,0603	4,41	11,000
SO ₄ "	0,0444	1,70	38,55
HS'	0,0112	0,92	20,86
HCO'₃	0,0671	0,34	7,71
CO ₂	0,0710	1,10	24,94
		0,35	7,94
		4,41	100,00
SiO ₂	0,0420		
Fe ₂ O ₃ +Al ₂ O ₃	0,0210		
საერთო მინერალ.	0,3657		
თავისუფალი H ₂ S	0,0008		

კურლოვის ფორმულა: H₂S O,012M0,36 $\frac{Cl \ 33 \ Na_2CO_3 25 \ SO_4 21}{Na \ 86}$ t° 46,6°


თბილისის მინერალური (თერმული) წყლის ქიმიური
 ანალიზი—ბურლილი № 6

ნიმუში აღებულია 1947 წლის 9/9

ტემპერატურა 27,0 დებიტი 936,700 ლ. 24 საათში
 მკვრივი ნაშთი გამოშრობილი 110—0,694 გრამი

ი მ ნ ე ბ ი	გრამები ერთ ლიტრში	მგ/ლ	გვ/ლკ.
		მგ/ლ	% ღ-ში
Na+K	0,1541	6,70	63,63
Ca"	0,0580	2,90	27,54
Mg	0,0109	0,93	8,83
		10,53	100,00
Cl"	0,1570	4,42	41,98
SO ₄ "	0,1555	3,22	30,58
HS	0,0065	0,21	2,09
HCO ₃	0,1630	2,67	25,35
		10,53	100,00
SiO ₂	0,0440		
Fe ₂ O ₃ +Al ₂ O ₃	0,0210		
საერთო მინერალ . . .	0,7700		
თავისუფალი	0,0295		

კურლოვის ფორმულა: H₂SO 0,35 M0,77 Cl 41 SO₄ 31 HCO₃ 26 Na 65 Mg 26 t° 27°



თბილისის ზღვა

სამგორის მშენებლობა ითვალისწინებს 80.000 ჰექტარამდე უნაყოფო მიწების მორწყვას და, ამასთან ერთად, თბილისის ახლო მიდამოებში წყალსაცავის მოწყობას 12.000,000 კვ² მეტრი წყალის ზედაპირით.

წყალსაცავი, რომელიც ამჟამადაც განაგრძობს წყალით შევსებას, მდებარეობს მდინარე მტკვრის პარალელურად და შორეულ წარსულში შეადგენდა მის კალაპოტს. იგი მიიმართება ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ და გარშემორტყმულია მაღლობებით, რომლებიც შედიან საგურამო-იალიოს ქედის სისტემაში. სამხრეთ-დასავლეთიდან წყალსაცავსა და თბილის შორის მოთავსებულია 600—650 მ სიმაღლის მთაგრეხილების ჯაჭვი და მის გადაღმა — მდ. მტკვარი.

ჩრდილო-დასავლეთიდან წყალსაცავს საზღვრავს საგურამო-იალიოს ქედის მეორე ტოტი, რომელიც აღმოსავლეთით თანდათან დაბლდება, გადადის საგურამოს პლატოში და შემდეგ გარე კახეთის ზეგანში. სამგორის წყალსაცავის მოსაზღვრე ტერიტორიის ეს ნაწილი მოქცეულია სარწყავ სისტემაში და სულ ახლო მომავალში, გამშრალი და ნახევრად მკვდარი, უნაყოფო მიწები გადაიჭირა აუვივებულ და კულტურულ ველებად.

სამგორის წყალსაცავის ფსკერი, იორის წყალით დაფარვამდე, დაკავებული იყო კუკიის, ილგუნიანისა და ავლაბრის მარილიანი ტერიტორიის ჯაჭვით.

იორის წყალ ათ გამტკნარებამდე ამ ტბების წყალი წარმოადგენდა ქლორიდულ-კალციუმიან წყალს 64,9 გ საერთო მინერალიზაციით ერთ ლიტრზე. გამტკნარების შემდეგ კი წყალი უფრო რთული შემადგენლობისა გახდა (ჰიდროკარბონატულ-სულფატურ კალციუმ-მაგნიუმ-ნატრიუმიანი); ამასთან ერთად, საგრძნობლად შემცირდა მისი საერთო მინერა-

ლიზაცია (10,43 გ/ლ). წყალის ტემპერატურა აგვისტოს თვეში აღემატება 27°.

ამჟამად „თბილისის ზღვაში“ შემოსულია 200.000.000 გ³ მეტი მოცულობის იორის წყალი. მთლიანად გავსებისას კი წყალის რაოდენობა მიაღწევს 300.000.000 გ³.

ამგვარად, მოსალოდნელია, რომ „ზღვის წყალი“ მომავალში კიდევ უფრო გამტკნარდება და მისი საერთო მინერალიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდება. ამავე დროს, თუ მხედველობაში მივიღებთ წყალის მოსარწყავად გადაგდებას წლის ვეგეტაციურ პერიოდში (ამ უროს ზღვაში იორის წყალის შესვლაც შეწყდება) და წყალის აორთქლებას, განსაკუთრებით, წლის ცხელ სეზონში, უნდა ველოდოთ წყალსაცავის წყალის საერთო მინერალიზაციის მომატებას. ამასთან ერთად, ზღვის წყალში, ბიოლოგიური პროცესების შედეგად, უნდა წარმოიშვას ახალი ქიმიური ელემენტები.

ეყრდნობა რა სამგორის წყალსაცავის კლიმატურ-მელიორაციული როლის შესახებ არსებულ მასალებს, ჰიდრომეტეოროლოგი გ. ჭირაჭაძე შესაძლებლად სთვლის ზღვის ახლომდებარე მიღამოების კლიპატის ზოგიერთი ცვლილების განვითარებას, ძირითადად, ჰაერის ტენიანობის დეფიციტის შესუსტებისა და სინამით გამდიდრების სახით. ეს ცვლილება ხელს შეუწყობს წყალსაცავის ნაპირების და მის ახლომდებარე ტერიტორიის გამოყენებას როგორც სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, ისე მოსახლეობის დასვენებისათვის.

წყალსაცავის სანაპიროების შედარებით ცივი და ტენიანი ჰაერის მასების გავლენით ჰაერის ტემპერატურამ უნდა დაიწიოს 2—3°; ფარდობითმა ტენიანობამ კი მოიმატოს 4—5%. ასეთ ცვლილებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ცხელი და მეტად მშრალი ზაფხულისა და ნაწილობრივ გაზაფხულ-შემოდგომის თვეებში.

ბრიზების ხასიათის ადგილობრივი ქარები, რომლებიც აქ წარმოიშვებიან წყალისა და ხმელეთის ზედაპირის ტემპერატურათა სხვაობის შედეგად, შეიტანენ სიგრილეს და ჰავის

შემარბილებელ ელემენტებს წყალსაცავის სანაპიროებისა და
მის ახლო მიდამოების ჰაერში.

წყალის აუზი და მის გარშემო მწვანე ნარგავთა რკალი
ხელს შეუწყობს ატმოსფეროს ელექტრობის გაძვრივებას—
უარყოფითად დამუხტული მსუბუქი იონებით ჰამ-
ღილრებას. უკანასკნელ ხანებში ფიქრობენ, რომ მსუბუქი
იონები, დადებითად დამუხტული მძიმე იონებისაგან განსხვა-
ვებით, დადებითად მოქმედებენ აღამიანის ორგანიზმზე.

თბილისის გარეუბნებში არსებული უნაყოფო მიწების მასი-
ვების გარშემო მწვანე ნარგავთა ძლიერი რკალის შექმნა,
მახათის მთის შიშველ სამხრეთ ფერდობების გამწვანებას-
თან ერთად, და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მთელი
რიგი კეთილმოწყობითი ღონისძიებების განხორციელება,
უეჭველად გამოიწვევს მნიშვნელოვან კლიმატურ ძვრებს ჰა-
ერის გამტვერიანებისა, სიცხისა და შეხელულობის შემცი-
რების მხრივ, განსაკუთრებით წლის ცხელ პერიოდში.

„თბილისის ზღვა“ მის ახლომდებარე მიდამოებით სულ
ახლო მომავალში გახდება თბილისისა და მეტალურგთა ქა-
ლაქის—რუსთავის მშრომელი მოსახლეობის წყალის სპორტის
და კულტურული დასვენების საყვარელი ადგილი.




კურორტი კოქილი

ადგილმდებარება და მოქლე ისტორიული მონაცემები

თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით მიღის გუდრონირებული საავტომობილო მიხვეულ-მოხვეული და ოლმართებიანი გზატკეცილი, რომელიც გაივლის რა თბილისის გარეუბნის სააგარაკო ადგილებს—ოქროყანას, შინდისს და ტაბახმელას, სულ 30 წლის მგზავრობის შემდეგ, მიგვიყვანს სამთო-კლიმატურ კურორტ კოჯორში (1300—1400 მეტრი ზღვის დონედან). აქედან ეს გზა მიიმართება კიკეთისა და მანგლისისაკენ. აღნიშნული გზატკეცილით მანძილი თბილისიდან კოჯორამდე შეადგენს 21 კილომეტრს; საცალფეხო ბილიკით კი ეს მანძილი 7 კილომეტრია. კოჯორის სიახლოვე ისეთ დიდმოსახლეობიან, სამრეწველო და აღმინისტროციულ ცენტრთან, როგორიცაა თბილისი, ხდის მას უალრესად დიდი მნიშვნელობის კურორტად, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში, როდესაც თბილისში სიცხე-პაპანაქებაა, კოჯორში კი—სასიამოვნო სიგრძილე.

ძველად, როდესაც თბილისის მოსახლეობა არ იყო დიდი, ხოლო მისი მიღამოები მდიდარი იყო ტყეებით და ბალებით და ქალაქში ზაფხულობით უფრო გრილოდა, ვიდრე ამჟამად, მოსახლეობა მაინც დამაინც არ მიისწრაფოდა ქალაქიარეთ. ამ პერიოდში, მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთა განსაკუთრებით შეძლებული ნაწილი გადიოდა გარეუბნის სააგარაკო ადგილებში. ასეთ სააგარაკო ადგილებად თბილისისათვის მაშინ ითვლებოდა ორთაჭალა, კრწანისის ბალები, გლდანი, შინდისი, ტაბახმელა, წავკისი, დილმის ბალები, ოქროყანა, წყნეთი და კოჯორი. ამ კურორტებიდან განსაკუთრებული ადგილი მაშინაც კოჯორს ეჭირა, სადაც საზაფხულოდ მიემგზავრებოდნენ დიდი თანამდებობის პირები—მეფის ნაც-



კოჯორი — საერთო ზედი.



კოჯორი — თბილისი - მანგლისის მთავარი გზატყცილი.

ვალი კავკასიაში თავისი მხლებლებით და სხვა მაშინდელი მა-
ლალი წოდებისა და თანამდებობის პირი.

შემდეგში, ქალაქის ზრდასთან ერთად, კოჯორშიც დაიწ-
ყო მშენებლობა და ზაფხულობით ამ კურორტით სარგებ-
ლობა უკვე იწყო თბილისის მოსახლეობის უფრო ფართო
ფენებმა.

იმ ადგილს, საღაც ახლა კოჯორია გაშენებული, ძველად
აგარანი ეწოდებოდა; ამავე მიღამოში აშენებულ ციხეს აგა-
რათა ციხეს ერქვა. XV ს. ეს ციხე უკვე კოჯრის ციხედ იხსენი-
ება. აქედან წარმოიშვა ადგილის დღევანდელი სახელწოდება
— კოჯორი.*)

ნალეში შემონახული გადმოცემის მიხედვით, სახელწოდება
„კოჯორი“ წარმოიშვა სიტყვიდან „ქოჩორი“, რაღაც კოჯ-
რის პლატო მაშინ დაფარული იყო აქოჩრებული ტყით. მე-
ორე ვარიანტით, სიტყვა „კოჯორი“ წარმოიშვა სიტყვიდან
„კოჟორა“ (დაკოჟრებული), რელიეფის თავისებურების გამო.

კოჯრის პლატოდან თვალწინ იშლება თვალწარმტაცი სა-
ნახაობა—ლისისა და კუს ტბები, კურორტები ბეთანია და
წყნეთი, საგურამოს მთები, ნახშირგორა და მოშორებით—
კავკასიონის მთავარი ქედი თავისი მუდამ თოვლიანი მწვერ-
ვალებით.

კოჯრის დასავლეთ მხარეზე, მისგან ორი კილომეტრის
მანძილზე, აღმართულია ძველი ციხე.

ამ ციხიდან იშლება საუკეთო სანახაობა: ჩრდილო-
ეთისაკენ — თბილისი და მისი მიღამოები, აზერბაიჯანის
მთები, სამხრეთით — მანგლისის მიღამოები და აღმოსავლე-
თით — კუმისის ტბა, რომელიც ცნობილია მაღალხარისხოვა-
ნი სამკურნალო ტალახის დიდი მარაგით.

ამ რაიონის მატერიალური კულტურის მრავალრიცხოვანი
ძეგლებიდან უნდა აღინიშნოს ძველი ციხის — უძოს — ნაშთი,
რომელიც მდებარეობს თანამოსახელე მთის მწვერვალზე; ეს
უკანასკნელი კარგად მოჩანს თბილისიდანაც.

უძო კოჯრიდან, 2 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს და
დაკავშირებულია მასთან კარგი გზით. აქ მოწყობილია პიო-
ნერთა დიდი ბანაკი.

*) ნ. ბერძენიშვილი. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი). მინო-
მხილველი, II.

კოჯრის სამხრეთ-დასავლეთით, პატარა მდინარე ასურე-
 თის ხეობაში მდებარეობს კაბენის მონასტერი. მონა-
 სტრის დიდი, ამჟამად მთლიანად დანგრეული, ტაძარი
 წარმოადგენს ძველი ქართული არქიტექტურის საუცხოო
 ძეგლს. მეორე ძველმა ტაძარმა, რომელიც მოთავსებულია
 მონასტრის გალავნის გარეთ, ჩვენ დრომდე მოაღწია. ტაძ-
 რის აღმოსავლეთ კედელზე დარჩენილია ქართული წარწერა,
 რომლის მიხედვით მისი აგება მიეკუთვნება თამარ მეფის
 ეპოქას (1184—1213).

კურორტის ტერიტორიის უხვ მცენარეულობაში, სადაც
 წიწვიანი ჯიშები შედარებით იშვიათად გვხვდება, ყურად-
 ღების ლირსია ხილის ბალები. უნდა აღინიშნოს აგრეთვე,
 რომ კოჯორში უძოს გზის მიმართულებით არის ახალგაზრ-
 და ფიჭვისა და სოჭის ჭალა, რაც იმას მოწმობს, რომ ამ
 რაიონში წიწვიანი ჯიშები კარგად ხარობენ; ეს გარემოება
 მნიშვნელოვნად გაადვილებს მომავალში კურორტის რაცი-
 ონალურ გამწვანებას.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ალვნიშნოთ, რომ გასუ-
 ლი საუკუნის მეორე ნახევარში, როცა დაიწყო შედარებით
 ინტენსიური სააგარაკო მშენებლობა, კურორტის ცენტრალ
 ითვლებოდა ქვედა გზატკეცილი, სადაც მოწყობილი იყო
 სასტუმრო. იმ დროს ამ გზატკეცილით დადიოდნენ მანგ-
 ლისში (კიკეთის გავლით—ძველი მანგლისის გზით). ქვედა
 გზატკეცილზე, ძველი სასტუმროს რაიონში, დღესაც არის
 დარჩენილი ქვაფენილის ნაშთი; ზემო გზატკეცილი კი გაჩნდა
 უფრო გვიან—ახალი სააგარაკო მშენებლობის დროს.

კოჯრის ძველი მკვიდრი მცხოვრებლები წარსულში უპი-
 რატესობას აძლევდნენ ქვედა გზატკეცილის რაიონის კლი-
 მატურ პირობებს, რადგან იქ ქარები ნაკლებად იცოდა და
 ჰაერი უფრო „მსუპლქად“ მიაჩნდათ.

კოჯორი ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი დასასვენებლად
 არამც თუ ლარიბი, საშუალო ფენის მოსახლეობისათვი-
 საც კი.

აგარაკებზე სამგზავროდ ხმარებაში იყო ე. წ. „ლინეიკე-
 ბი“, რომელნიც ყოველდღიურად გადიოდნენ თბილისიდან
 მანგლისში.

კურორტი კოჯორი წყალს ღებულობს ჭებიდან და წყარო-
 ებიდან. რომელიც მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ ზაფხუ-
 ლის პერიოდში კურორტის მოსახლეობის მოთხოვნილებას;
 ამჟამად უკვე მიმდინარეობს მუშაობა კურორტის სრული
 უზრუნველყოფისათვის წყალით.

ელექტროენერგიით კურორტს ამარავებს ზაჰესი 1936
 წლიდან.

კურორტსა და ქალაქს შორის რეგულარულ კავშირს ახორ-
 ციელებს საავტომობილო ტრანსპორტი.

თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყო
 ფილების საკურორტო სამმართველოს საკმაოდ მნიშვნელოვანი
 საბინაო ფონდი, რომელიც 900 ოთახამდე აღწევს, ვერ აკვირ
 ფილებს კურორტის მზარდ მოთხოვნილებას; კოლმეურნეთა
 საბინაო ფონდის გამოყენებაც ვერ სწყვეტს საბოლოოდ სა-
 კითხს.

კოჯორში არსებული სამკურნალო-პროფილაქტიკური და-
 წესებულებებიდან ყურადღების ღირსია საკურორტო საბ
 მართველოს ბავშვთა და მოზარდთა სანატორიუმები, სანა-
 ტორიუმი ძვლის ტუბერკულოზით დაავადებულთათვის, თბი-
 ლისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფი-
 ლებისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამი-
 ნისტროსი. მუშაობს იგრეთვე ნერვული სისტემის ფუნქციურ
 დაავადებათა სანატორიუმი. უკანასკნელი სანატორიუ-
 მები მუშაობს მთელი წლის განმავლობაში. სეზონურად
 მოქმედებს იგრეთვე სახვაჭონობის მუშავთა პროფესი-
 რის დასასვენებელი სახლი. კოჯორში არის საქართვე-
 ლოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი
 საბავშვო სახლები. ჩამოთვლილ დაწესებულებათა გარდა,
 კოჯორში სხვადასხვა პროფესიული, კოოპერაციული და
 სახელმწიფო ორგანიზაცია ზაფხულობით ხსნის მრავალ
 პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებას—პიონერ-
 თა ბანაკებს, ბავშვთა მოედნებს; თბილისიდან კოჯორში
 ზაფხულობით გადმოაქვთ საბავშვო ბაღები, ბაგები და სხვ.;

საკურორტო სამმართველოს მონაცემებით, 1936 – 37.
 წლებში, ბავშვთა ორგანიზებულ დაწესებულებათა მიერ კო-

ჯორში დაკავებული იყო მთელი საბინაო ფონდის 30%-ზე მეტი. საბინაო ფონდის 60—70% დაკავებული იყო აგრეთვე ბავშვებით საკურორტო და კოლმეურნეთა საბინაო ფონდის ინდივიდუალური გამოყენების წესით.

კოჯორში არსებობს საკურორტო სამშართველოს პოლიკლინიკა, რომელიც მუშაობს ზაფხულის სეზონში; არის აგრეთვე გარეუბნის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ამბულატორია, აფთიაქი, ფიზკულტურის მოედანი, რომელიც მოწყობილია 1936 წელში გახსნილ ბავშვთა სანატორიუმთან (ყოფილი მე-33 აგარაკი); ამ სანატორიუმის შემოლობილ და ფიჭვის ნარგავებით გამწვანებულ ტერიტორიაზე იმავე წლიდან მოწყობილია სოლარიუმი უკანასკნელ მოთხოვნათა შესაბამისად.

გარდა აღნიშნულ სამკურნალო-პროფილაქტიკური ხასიათის დაწესებულებებისა, კოჯორში არის აგრეთვე სხვა დამხმარე ხასიათის დაწესებულებები: ფოსტა-ტელეგრაფი, სატელეფონო კავშირი თბილისთან, საავტომობილო მიმოსვლის სადგური, სახელმწიფო და კოოპერაციულ-სავაჭრო დაწესებულებათა ქსელი, სამრეწველო საქონლის მაღაზიები, სასალილოები, კიოსკები და სხვა. კურორტის ბაზარზე ყოველთვის შეიძლება (უმთავრესად ზაფხულის პერიოდში) ხორცის, კვერცხის, რძის ნაწარმის, ფრინველის, ხილის, ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების შეძენა.

კოჯორს ამჟამად უჭირავს 700 ჰექტარამდე მიწის ფართობი. რომელიც ძლიერ სუსტად არის ათვისებული. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია კურორტის მშენებლობისათვის კოჯორში 1000 ჰექტარზე მეტი ფართობი იქნეს გამოყენებული.

არსებული ბონაცემების მიხედვით, ზაფხულის შუაგულ სეზონში (ივლისი), როდესაც თბალისში ზედმიშევნით ცხელა, მოაგარაკეთა რიცხვი კოჯორში უკანასკნელ წლებში აღწევდა 10.000 სულს.

საზაფხულო საკურორტო სეზონი კოჯორში, ჩვეულებრივ, იწყება ივნისის თვიდან და მთავრდება შუა სექტემბრისათვის.



კოჯორი — ბავშვთა სანატორიუმი.



კოჯორი — აგარაკი.

გოჯრის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური დახასიათება

კოჯრის გეოგრაფიული კოორდინატებია: 41° , $45'$ ჩრდი-
ლოეთის განედი და 44° , $43'$ აღმოსავლეთის გრძელი.

კურორტი მდებარეობს მაღალმთიანი პლატოს სამხრეთ-
აღმოსავლეთით დაქანებულ ნაწილში. მეტეოროლოგიური
სადგური მოწყობილია მწვანე ნარგავებში, ზღვის დონიდან
1302 მეტრის სიმაღლეზე. სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთით აღგილი ჯერ ოდნავ იწევს ზევით, შემდეგ კი საკ-
მაო სისწრაფით ეშვება ველისაკენ. მეტეოროლოგიური სად-
გურიდან სამხრეთ-დასავლეთით არსებობს საკმაოდ ციცაბო
მთა, რომელიც ეშვება ხრამისაკენ; მის მოპირდაპირე მხა-
რეზე, სადგურიდან 1,5 კილომეტრის მანძილზე, წამოწეულია
საკმაოდ მაღალი მთა რომელზედაც აღმართულია ძველი
ციხე.

კოჯორში მაქსიმალური ტემპერატურა შეადგენს $+30,5^{\circ}$,
ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი კი უდრის $-14,8^{\circ}$.

ქვემოთ მოგვყავს კოჯრისა და, შედარებისათვის, ზოგიერ-
თი სხვა კურორტის ტემპერატურის საშუალო მაჩვენებლები.

საშუალო წლიური ტემპერატურა

თბილისი $11,8^{\circ}$

კოჯორი $7,5^{\circ}$

მანგლისი $8,4^{\circ}$

აბასთუმანი $6,5^{\circ}$

ლიბანი $6,2^{\circ}$

ცემი $7,3^{\circ}$

ბაკურიანი $4,7^{\circ}$

კოჯრის ჰაერის ფარდობითი ტენიანობა წლიურად შეად-
გენს საშუალოდ 75%.

ქარების საშუალო სისწრაფე კოჯორში შეადგენს 2,5 მ.
ერთ წამში (ზოგიერთ უბანში კი, აღგილმდებარეობის მიხედ-
ვით, ქარის სისწრაფე ოდნავ მეტია—3—3,5 მ/წ). მოყვანი-

ლი მონაცემებიდან ჩანს, რომ კოჯრის ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უფრო მაღალია, ვიდრე ისეთი სახელგანთქმული კლიმატური სადგურებისა, როგორიც არის აბასთუმანი, ცემი, ლიბანი, ბაკურიანი; კოჯრის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის $7,5^{\circ}$, აბასთუმნის $6,5^{\circ}$. ამავე დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ კოჯორი აბასთუმანზე უფრო მაღალია (აბასთუმანში მეტეოროლოგიური სადგური მოთავსებულია ზღვის დონიდან 1262 მეტრის სიმაღლეზე, კოჯორში კი 1302 მეტრის სიმაღლეზე).

თბილისის და კოჯრის ცხელი თვეების საშუალო ტემპერატურათა შედარება გვიჩვენებს, რომ იმ დროს, როდესაც თბილისში დიდი სიცხეა, კოჯორში ამ დროს მხოლოდ ზომიერად თბილა და ჰაერის საშუალო ტემპერატურა, თბილისთან შედარებით, 6—7 გრადუსით ნაკლებია. თუ ამას დავუმატებთ, რომ კოჯორში თითქმის მუდამ ქრის სასიამოვნო ნიავი, სრულიად აშკარაა ამ კლიმატური სადგურის უაღრესად დიდი მნიშვნელობა მისგან ასე მოკლე მანძილით დაშორებული თბილისის მოსახლეობისათვის.

ალსანიშნავია, რომ კოჯორი ნალექების რაოდენობის მხრივაც დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს გვაძლევს ზემოაღნიშნულ კლიმატურ სადგურებთან შედარებით.

კურორტ კოჯორის სამაურნალო მნიშვნელობა

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად თბილისთან კოჯრის სიახლოებისა და იქ მომუშავე ექიმთა დაკვირვების შედეგად არსებული დიდძალი დამაჯერებელი მასალისა, საექიმო ლიტერატურაში მცირე რაოდენობით მოიპოვება ცნობები კოჯრის კურორტული ფაქტორების გავლენის შესახებ ორგანიზმზე.

ბევრი ექიმი, რომელიც მცირე თუ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მუშაობდა კოჯორში, დაინტერესებული იყო ჯანმრთელ და დაავადებულ ორგანიზმზე კოჯრის ჰავალენის საკითხით. ამის შესახებ არსებობს მთელ რიგ ავტო-

რიტეტულ სპეციალისტთა მეცნიერული დაკვირვებანი, როგორიცაა ნაწილი მოხსენებულია სამეცნიერო კონფერენციებზე. სამწუხაროდ, ეს მასალები არ არის გამოქვეყნებული, რის გამოც ნაკლებად ხელმისაწვდომი ან სრულიად ხელმიუწვდომელია როგორც სპეციალისტების, ისე, მით უფრო, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

ადამიანის ორგანიზმზე კოჯრის მთის ჰავის გავლენის მეცნიერული შესწავლის საქმეში პირველი ნაბიჯი გადადგმული იყო ნ. ყიფშიძის და ე. ბეჟანიშვილის მიერ დაახლოებით 20 წლის წინათ. გამოირკვა, რომ კოჯორში მკურნალობის შედეგად ბავშვთა სისხლში ჰემოგლობინი მკვეთრად მატულობს, საშუალოდ $10\text{-}20\%$ -მდე, ზოგ შემთხვევაში კი 25% -მდე. სისხლის წითელი ბურთულების რიცხვიც საგრძნობლად იმატებს, უმრავლეს შემთხვევაში— $1,5\text{-}2$ მილიონამდე, სისხლის წნევა ნორმის ფარგლებში დგება. ბავშვთა წონაში მატება შეადგენს $1,0\text{-}3$ კგ.

ამ დაკვირვებებით დადასტურდა კოჯრის კლიმატური პირობების დადგებითი გავლენა სისხლნაკლულ ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

ნ. უმიკოვი, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მუშაობდა კოჯორში ზაფხულობით და დაკვირვება ჩაატარა ათეულ ათას სხვადასხვა სენით დაავადებულ ბავშვზე, მივიღა იმ დასკვნამდე, რომ კოჯორი სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთათვის წარმოადგენს საუკეთესო კლიმატურ სადგურს. მისი განცხადებით, ნაწლავთა სხვადასხვა დაავადებით, კვების დაქვეითებით, სისხლნაკლულობით და რაჭიტით შეპყრობილ ბავშვებს კოჯორში მალე აღუდგებათ ჭამის მაღა, ისინი წონაში მატულობენ, ხალისიანი ხდებიან და სხვ.

ნ. უმიკოვის დაკვირვებით, კოლიტით დაავადებული ბავშვები კურორტზე ჩამოსვლის მეორე დღესვე თავს უკეთ გრძნობდნენ, მაღალი ტემპერატურა იკლებდა, ავადმყოფობა სწრაფად იღებდა კეთილ მიმდინარეობას და ბავშვები სრულიად იკურნებოდნენ. მრავალ, ფიზიკურად სუსტად განვითა-

რებულ, ფერმიხდილ და გამხდარ ბავშვს კოჯორში ჩასვლის შემდეგ ჭამის მაღა ეხსნებოდა, უუმჯობესდებოდა კვება, ისინი მატულობდნენ წონაში. ბავშვები მალე მხნე და მხიარული ხდებოდნენ; ამავე დროს, ყველა—როგორც ძუძუმწოვარი, ისე სკოლამდელი ასაკის ბავშვი, კარგად იტანდა კოჯრის ჰავას.

გ. ხალატოვის დასკვნით, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა კოჯრის ბავშვთა მოსახლეობაზე დაკვირვებას, ამ კურორტის ჰავა განსაკუთრებით ხელშემწყობად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის დაავადების, გახანგრძლივებული ბრონქიტის და აგრეთვე ყივანახველის დროს.

ძუძუმწოვარ ჯანმრთელ ბავშვებზე ჩატარებულმა დაკვირვებამ დაადასტურა კოჯრის ჰავის დადებითი გავლენა მათ საერთო განვითარებაზე.


6. ციფშიძისა და სხვათა დაკვირვებით, კოჯორი სრულასაკოვანთა მკურნალობისა და დასვენებისათვის წარმოადგენს საუცხოო ადგილს. მნიშვნელოვან სამკურნალო ეფექტს იძლევა კოჯორი სისხლნაკლულობის, მაღარიის დროს და სხვადასხვა მწვავე დაავადების გადატანის შემდგომ, ე. წ. რეკონვალესცენციის პერიოდში.

1936—1937წ.წ. ზაფხულის სეზონის განმავლობაში თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საკურორტო სამმართველოს სანატორიუმში და დასასვენებელ სახლში ჩატარებული დაკვირვებებიდან გამოირკვა, რომ 2 კვირის განმავლობაში მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება (ა. ონანოვი, შ. ლორთქიფანიძე და სხვ.).

1936 წელს კოჯორში გახსნილ და ახლად მოწყობილ სანატორიუმში ჩვენ მიერ ტარდებოდა სამეცნიერო დაკვირვება 8—12 წლის ასაკის ბავშვებზე. ი. ლორთქიფანიძის და მ. კოკოჩაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული იყო ბავშვთა დეტალური კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევა მკურნალობის დასაწყისში და დამთავრების შემდეგ. ამ დაკვირვებათა შედეგად დადგენილია ლიმფური



მანგლისი — ბავშვთა სანატორიუმი.



მანგლისი — ფიჭვის ჭალა.

ჯირკვლების ქრონიკული ანთებით, მეორადი სისხლნაკლუ-
 ლობით, ქრონიკული ბრონქიტით და მალარიით დაავადე-
 ბულთა მკურნალობის მეტად თვალსაჩინო ეფექტი.

გ. მუხაძე, რომელიც კარგად იცნობდა კოჯორს და ათე-
 ული წლების მანძილზე ისვენებდა ამ კურორტზე, აღნიშნავ-
 და, რომ კოჯორში არსებობს ფრიად ხელშემწყობი კლიმა-
 ტური პირობები ბავშვთა მკურნალობისათვის, განსაკუთრე-
 ბით კუჭ-ნაწლავთა დაავადების დროს.

ყველა ზემოაღნიშნული მრავალი წლის მონაცემი აშკარად
 მიუთითებს კოჯრის კლიმატური კომპლექსის მაღალ სამკურ-
 ნალო თვისებებზე. კოჯორი დადებით გავლენას ახდენს
 სრულასაკოვანთა, მოზარდთა, ბავშვთა ჯანსაღ და დაავადე-
 ბულ ორგანიზმზე, მაგრამ განსაკუთრებით თვალსაჩინო მოქ-
 მედებას იჩენს კოჯრის ჰავა ბავშვთა ორგანიზმზე, დაწყებუ-
 ლი ძუძუმწოვართა ასაკიდან.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოჯორს ბავშვე-
 ბის კუჭ-ნაწლავთა დაავადების დროს. როგორც ცნობილია,
 კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადებათა ერთ-ერთ რაღიკალურ
 სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს დაავადებულ ბავშვ-
 თა რაც შეიძლება მაღე გაყვანა სამთო-კლიმატურ კურორტ-
 ზე. ამ საკითხს, ფრიად მძიმეს სხვა დიდი ქალაქისათვის,
 თბილისისათვის კოჯორი სწყვეტს ყოველივე სიძნელის გა-
 რეშე. იგივე ითქმის რეკონვალესცენტების (ე. ი. გამოჯან-
 მრთელების პერიოდში მყოფ ნაავადმყოფართა) შესახებაც,
 როდესაც საჭიროა ბავშვთა სამთო-კლიმატურ ადგილზე გა-
 ყვანა; ასეთ შემთხვევებში აღნიშნული ლონისძიება ხელს შე-
 უწყობს ორგანიზმის საერთო ტონუსის აღდგენას და დაავა-
 დების მიმართ წინააღმდეგობის უნარის გაძლიერებას. კუ-
 რორტ კოჯრის სიახლოვე საშუალებას იძლევა სულ ნახე-
 ვარი საათის განმავლობაში გავიდეთ ისეთ სამთო-კლიმა-
 ტურ კურორტზე, რომელიც თბილისზე 1000 მეტრით მაღა-
 ლია, ხოლო მათ შორის ტემპერატურათა სხვაობა შეადგენს
 9—8°, განსაკუთრებით ცხელ თვეებში.

კურორტ კოჯორის განვითარების პრესენტივები

როგორც უკვე იყო აღხიშნული, კოჯორი წარმოადგენს მაღალ მთის კლიმატურ კურორტს, რომელიც თბილისიდან სულ 18 კმ არის დაშორებული.

აღნიშნული პირობები უპირატესობას აძლევს კოჯორს თბილისის მოსახლეობის მომსახურების საქმეში სხვა სახელგანთქმულ სამთო - კლიმატური კურორტების წინაშე, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი სამშობლო. ამ კურორტის კლიმატური კომპლექსის დადებითი გავლენა ორგანიზმზე კოჯორის სამკურნალო კურორტად გამოყენების სრულ საფუძველს იძლევა, პირველ რიგში ბავშვთა მოსახლეობისათვის; მაგრამ ჩვენ ხელთ გვაქვს მასალები, რომელთა მიხედვით, მოზარდები, სრულასაკოვანი ავადმყოფები და დამსვენებლებიც კოჯორში თავს ძალიან კარგად გრძნობენ, იკურნებიან და მათი ორგანიზმის საერთო მდგომარეობა მნიშვნელოვნად უმჯობესდება. თბილისის ბავშვებისათვის ყველაზე უფრო ადვილად ხელმისაწვდომია კურორტი კოჯორი. მიუხედავად კოჯორის მნიშვნელოვანი ტერიტორიული შესაძლებლობისა (1000 ჰექტარზე მეტი), შეიძლება ითქვას, რომ კურორტის ფართობი მაინც ვერ უზრუნველყოფს მთლიანად თბილისის ბავშვთა მოსახლეობის კურორტულ სამკურნალო - პროფილაქტიკურ დახმარებას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი არ იქნება კოჯორის გამოყენება თბილისის მთელი მოსახლეობის, მათ შორის სრულასაკოვანთა კურორტული მომსახურებისათვის.

ამიტომ, მიზანშეწონილია მომავალში კოჯორი განვითარდეს, ძირითადად, როგორც ბავშვთა კურორტი სამკურნალო-პროფილაქტიკური პროფილით.

აღსანიშნავია, რომ კოჯორის გამოყენება არ შეიძლება ამოწურულ იქნეს მარტო ზაფხულის სეზონით. მკურნალობის ეფექტიანობა კოჯორის მუდმივად მოქმედ სამკურნალო დაწესებულებებში საკმარის საფუძველს იძლევა ამ კურორტის

მთელი წლის განმავლობაში გამოყენებისათვის. ამიტომ კო-
 ჯორი ცნობილი უნდა იქნეს, როგორც მთელი წლის გან-
 მავლობაში მოქმედი საბავშვო სამკურნალო-პროფილაქტიკუ-
 რი სამთო-კლიმატური კურორტი.

გამოვდივართ რა იმ მოსაზრებიდან, რომ დიდი სამრეწ-
 ველო ქალაქის ბავშვთა მოსახლეობის მნიშვნელოვანი კონ-
 ტინგენტი მოითხოვს ფართო სამკურნალო და პროფილაქ-
 ტიკურ დახმარებას, განსაკუთრებით ცხელი თვეების განმავ-
 ლობაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამკურნალო და პროფი-
 ლაქტიკურ საწოლთა პროცენტული თანაფარდობა კოჯორში
 უნდა გამოიხატებოდეს დაახლოებით, როგორც 30:70 (30%
 სამკურნალო საწოლებისა და 70% პროფილაქტიკურისა);
 რაც შეეხება მთელი წლის განმავლობაში მოქმედ და სეზო-
 ნურ საწოლებს, აქაც შეიძლება მიღებულ იქნეს იგივე თა-
 ნაფარდობა (30%—70%).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში, სადაც ძვლის
 და სახსრების ტუბერკულოზის კურორტული მკურნალობის
 დიდი შესაძლებლობა არსებობს, ჯერჯერობით აღნიშნული
 კატეგორიის ავადმყოფებისათვის მთის კლიმატური სანატო-
 რული სტაციონარები გახსნილია მხოლოდ კოჯორში.

ასეთ ავადმყოფთა მკურნალობა უნდა გაფართოვდეს ჩვე-
 ნი ქვეყნის სხვა სამთო-კლიმატურ და ზღვის სანაპირო კუ-
 რორტებზე ანალოგიურ სპეციალურ სამკურნალო-სანატო-
 რიულ დაწესებულებათა მოწყობით.

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს კოჯორის მთის ჰავის
 ხელშემწყობ სპეციფიკურ მოქმედებას ბავშვთა კუჭ-ნაწლავის
 მწვავე დაავადებაზე. კოჯორის ეს თავისებურებაც უნდა მი-
 ღებულ იქნეს მხედველობაში კურორტის შემდგომი განვი-
 თარების დროს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში და
 მთელ საბჭოთა კავშირშიც არ არსებობს სპეციალიზირებუ-
 ლი კურორტი, სადაც ასე დამაჯერებლად იყოს ნაჩვენები
 ბავშვთა მკურნალობა კუჭ-ნაწლავების მწვავე დაავადებათა
 შემთხვევაში.

მაგალითად, იაეთ განთქმულ კურორტებზე, როგორიც
 არის ბორჯომი, ჯავა, საირმე, ესენტუკი, ზელეზნოვოდსკი,

უწერა და სხვ., რომელთა დანიშნულება, ძირითადად, კუჭ-
 ნაწლავის დაავადებათა მკურნალობაა, წინააღმდეგნაჩვენე-
 ბია ხსენებული დაავადების მწვავე ფორმებით შეპყრობილ
 ადამიანთა მკურნალობა.

სხვა ლონისძიებებთან ერთად, კოჯრის კურორტული ფაქტო-
 რების რაციონალური ათვისებისათვის საჭიროა, რომ თბილი-
 სის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების
 საკურორტო სამმართველომ შეადგინოს კურორტის გენერა-
 ლური დაგეგმარების პროექტი, რასაც საკურორტო სამმარ-
 თველოს ხელმძღვანელობა უკვე შეუდგა იმ ვარაუდით, რომ
 სამუშაო დაამთავროს 1955 წელს. ამ დიდი მნიშვნელობის
 წამოწყებამ უნდა გაითვალისწინოს კოჯრის რეკონსტრუქცი-
 ისა და საკურორტო მშენებლობის შემდგომი გეგმიანი გან-
 ვითარება. გენერალური დაგეგმარების პროექტში გათვალის-
 წინებულ უნდა იქნეს, პირველ რიგში, კურორტის წყალსა-
 დენის, კანალიზაციის, ელექტრომომარაგების გაუმჯობესება
 და სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლე-
 ბის, სასტუმროების, ცალკე კოტეჯების, ბავშვთა მოედნების,
 პიონერბანაკებისა და მთელ რიგ სხვა სამკურნალო-პროფი-
 ლაქტიკურ და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა
 და გზების მშენებლობა.

ამასთანავე, გენერალურ დაგეგმარებაში უნდა გათვალის-
 წინებულ იქნეს კურორტის ტერიტორიის რაიონებად დაყოფა
 კურორტის პროფილის მიხედვით; უნდა გამოყოფილ იქნეს
 სამკურნალო ზონა მისთვის სათანადო მიკროკლიმატური
 პირობების გათვალისწინებით, ქვეზონები დაავადებათა ცალ-
 კე სახეობის მიხედვით, ვინაიდან ზოგიერთი ავადმყოფი
 მოითხოვს დანარჩენი ავადმყოფებისაგან გამოცალკევებას
 (კუჭ-ნაწლავთა დაავადებით, ძვლის და სახსრების ტუბერკუ-
 ლოზით ავადმყოფები და სხვა). ასევე უხდა დაჯგუფებულ იქნეს
 როგორც სამკურნალო, ისე პროფილაქტიკური დაწესებულე-
 ბები ბავშვთა სხვადასხვა ასაკის მიხედვით. უნდა გათვალის-
 წინებულ იქნეს მთელი წლის განმავლობაში მოქმედ დაწესე-
 ბულებებისათვის კაპიტალური ნაგებობანი, ხოლო ზაფხულის

სეზონში მოქმედ დაწესებულებათა საჭიროებისათვის კი
 მსუბუქი ტიპის შენობები.

კოჯრის გენერალურ დაგეგმარებაში გათვალისწინებულ
 უნდა იქნეს აგრეთვე სასტუმროთა და პანსიონატების მშენებ-
 ლობა იმ ბავშვთა მშობლებისათვის, რომლებიც მოისურვებენ
 განსაზღვრული დრო დაპყონ თავიანთ ბავშვებთან და ამავე
 დროს თვითონაც დაისვენონ. გენერალურ დაგეგმარებაში
 სამკურნალო დაწესებულებათა შორის გათვალისწინებულ
 უნდა იქნეს საავალმყოფოს ტიპის სტაციონარი საწოლების
 საკმაო რაოდენობით ბავშვთა კუჭ-ნაწლავის დაავადებათა
 იმ მძიმე შემთხვევებისათვის, რომლებიც მოითხოვს ავად-
 მყოფთა სასტრატო გაყვანას ქალაქიდან კურორტზე.

კოჯრისა და თბილისის, აგრეთვე გარეუბნის სხვა კურორ-
 ტების თბილისთან დაახლოებისა და მათ შორის მიმოსვლის
 გაადვილების მიზნით, გენერალური დაგეგმარების პროექტში
 მიზანშეწონილია აგრეთვე თბილის-კოჯორის რკინიგზის
 გაყვანის გათვალისწინება.

ვინაიდან კოჯორი განსაკუთრებული კლიმატურ-პროფი-
 ლაქტიკური მნიშვნელობის და მაღალი სამკურნალო ლირსე-
 ბის მქონე კურორტია, ვიმედოვნებთ, რომ გეგმიანი საკურორ-
 ტო მშენებლობის გაშლის შედეგად, ახლო მომავალში, იგი
 იქცევა თბილისისათვის სანიმუშო საგარეუბნო კურორტად,
 რომლის მსგავსი არც ერთ დიდ ქალაქს არ ექნება.

ავადმყოფთა მკურნალობის ჩვენებანი:

1. ლიმფადენიტი;
2. ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზი (დახურული
 ფორმა);
3. ბრონქიტი;
4. პლევრიტი;
5. ბავშვთა კუჭ-ნაწლავის დაავადებანი (უმთავრესად
 გრიპი ფორმები სპეციალური სტაციონარის არსებობის
 პირობებში);

6. მალარია;
7. მეორადი სისხლნაკლულობა, კვების დაჭვეითება;
8. ბრონქული ასთმა (არამძიმე ფორმები);
9. რაქიტი;
10. მწვავე დაავადებათა, მათ შორის ინფექციურ დაავადებათა გადატანის შემდეგი პერიოდი;
11. ქლოროზი;
12. ნევროზი (მსუბუქი ფორმები).

შინააღმდეგჩენებანი:

1. ყველა სახის ტუბერკულოზის ლია ფორმები;
2. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი სუბკომპენსაციისა და დეკომპენსაციის პერიოდში;
3. ყველა დაავადება, რომელიც წინააღმდეგნაჩვენებია კურორტებზე მკურნალობისათვის.



კურორტი მანგლისი



ადგილმდებარეობა და მოპლე ისტორიული ცნობები

მანგლისი მდებარეობს თბილისიდან ჩრდილო-დასავლე-
თით, 1204 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მისი გეო-
გრაფიული კოორდინატებია $41^{\circ} 42'$ ჩრდილოეთის განედი
და $42^{\circ} 22'$ აღმოსავლეთის გრძელი. კურორტს თბილისთან
აერთებს თუმც აღმართ-დაღმართიანი და მიხვეულ-მოხვე-
ული, მაგრამ კარგი საავტომობილო გზატკეცილი. სახელწო-
დება მანგლისი წარმოიშვა სიტყვისაგან — „მანგალისი“, რაც
ძველ ქართულად ნამგალს ნიშნავს და რაც, ალბათ, დაკავ-
შირებულია პურის ნამგლით მკასთან.

მანგლისმა ძველი დროიდანვე დაიმსახურა ყურადღება
თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური თავისებუ-
რებით. 1823 წელს ის შერჩეულ იქნა რუსეთის ჯარის ერთ-
ერთი ლეგიონის საზაფხულო სადგომად. გასული საუკუნის
ოთხმეტაათიან წლებში აქ მოწყობილ იქნა სანიტარული
ბაზა, სადაც კავკასიის ყველა ჯარის ნაწილიდან იგზავნებოდ-
ნენ ფილტვების სისუსტით და პლევრიტით დაავადებული
ჰირები.

ჯერ კიდევ იმ დროს მანგლისი გამოყენებული იყო რო-
გორც პროფილაქტიკური კურორტი არამარტო სრულასა-
კოვანთა, არამედ სამხედრო უწყების სკოლებში მოსწავლე
ბავშვებისა და მოზრდილებისათვისაც.

1923 წელს მანგლისი გამოცხადებულ იქნა, როგორც
აღგილობრივი მნიშვნელობის კურორტი. ამავე წელს აქ

მოწყობილ იქნა ბავშვთა დასასვენებელი სახლი; 1925 წლიდან გაიხსნა ბავშვთა სანატორიუმი, რომელიც დღემდე არსებობს.

კურორტის სამთო-სანიტარული ზონის ფარგლებში 200 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს ფიჭვის ტყეს; ამ ტყეში შედის ორი საკმაოდ დიდი, საუცხოო ფიჭვის ჭალა, რომლებიც მდებარეობს კურორტის ცენტრში, ხოლო მათ ირგვლივ მოთავსებულია სააგარაკო უბნები.

მანგლისში მუდმივი მოსახლეობის რიცხვი აღწევს 3000 სულს; მოსახლეობა გაფანტულია ჯგუფ-ჯგუფად, კურორტის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში; უბნების სახელწოდება სხვადასხვაა: „ძველი მანგლისი“, „ახალი მანგლისი“ (ეგრეთ წოდებული „შტაბი“) „პროტიგალოვკა“, „ბუდიონივკა“, „ნოვი სვეტ“ (ან „ქვედა ჭალა“, რომელიც ატარებს აგრეთვე „ვოროშილოვკის“ სახელწოდებას) და „ზემო ჭალა“.

ზოგიერთ ზაფხულის სეზონში კურორტზე ჩამოსულ ავადმყოფთა და დამსვენებელთა რაოდენობა 10.000 აღწევს. ისინი საცხოვრებლად ეწყობიან, ძირითადად, კოლმეურნეთ სახლებში და თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საკურორტო სამმართველოს ბინებში; საკურორტო სამმართველოს განკარგულებაშია 200-მდე ოთახი, უმთავრესად ქვედა ჭალაში.

მანგლისი და მისი ახლო მიდამოები განსაკუთრებით მდიდარია საძოვრებით, რის შედეგად, კურორტი და მახლობელი სოფლები უზრუნველყოფილია რძის ნაწარმით. ახლომდებარე სოფლების მოსახლეობას უხვად გამოაქვს კურორტის ბაზარზე რძის ნაწარმი და მრავალი სხვა პროდუქტი—ხორცი, ფრინველი, თაფლი, ხილი, ბოსტნეული.

კურორტი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით და წყალსადენით.

კურორტს აქვს მშვენიერი ბუნებრივი პარკი ფიჭვის ჭალაში. მანგლისში არის ფოსტა-ტელეგრაფი, თბილისთან სატელეფონო კავშირი, წიგნის მაღაზიები და კიოსკები, სამრე-



მანგლისი — კურორტის სასადილო ფიჭვის ჭალაში.



მანგლისი — სანატორიუმი № 2.

წველო საქონლის მაღაზიები, საკურორტო და კოლპერაციული სასადილოები და სხვა.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან აღსანიშნავია საკურორტო სამმართველოს სამი სანატორიუმი: ბავშვთა, მოზარდთა და სრულასაკოვანთათვის. არის აგრეთვე კურორტის პოლიკლინიკა, სოლარიუმი, ფიზკულტურის მოედანი, რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების დანართის მიმმართ სამშობიარო განყოფილებით და პოლიკლინიკით და სხვ.

თბილისსა და კურორტს შორის კავშირი უზრუნველყოფილია საავტობუსო მიმოსვლით.

თბილისიდან მანგლისში მიმავალი გზა ჯერ მიემართება აღმართზე, გაუვლის სააგარაკო აღგილებს — ოქროყანას, ტაბახმელას, კურორტ კოჯორს (1304 მეტრი ზღვის დონიდან), შემდეგ კი დაეშვება ქვემოთ — „სამადლომდე“, საიდანაც ერთი გზა მიღის მარჯვნივ — ბეთანიამდე. მეორე კი მარცხნივ — კურორტ კიკეთამდე. მთავარი მაგისტრალური გზა სამადლოდან ისევ აღმართ-აღმართ მიღის სოფ. ორბეთამდე, საიდანაც ისევ დაღმართზე დაეშვება. სოფ. ორბეთი კოჯორ-მანგლისის შუა გზაზეა. მანძილი კოჯორიდან ორბეთამდე 23 კილომეტრს აღწევს; იმდენივეა ორბეთიდან მანგლისამდე. შემდეგ, სანამ მანგლისამდე 7 კილომეტრი დარჩებოდეს, გზა გაივლის სოფელ დიდ თონეთზე, სადაც ერთ დროს გასწავლებლად იყო სახელოვანი მწერალი ვაჟა-ფშაველა. მუხურის ხილიდან 60—70 მეტრის მოშორებით, ქვემოთ, მდინარე ოძისის მარცხენა ნაპირზე, ქვის მცირე ნაპრალიდან გამოდის გოგირდ-წყალბადიანი მინერალური წყალი.

მდინარე ალგეთის ხეობასთან, სადაც მდებარეობს მანგლისი, დაკავშირებულია გასული საუკუნის გმირის, არსენა მარაბდელის სახელი, რომელსაც აქ ჰქონდა თავშესაფარი და აქედან შიშის ზარს ჰგვრიდა მშრომელი ხალხის მტრებს.

ახალი მანგლისი დაარსებულა მე-18 საუკუნეში სოფელ ოძისის ნანგრევებზე. ზემო ოძისის ნანგრევები დღემდე შენახულია მანგლისის ჩრდილოეთით. თვით სოფელი ოძისი,

როგორც შემორჩენილი ნანგრევებიდან ირკვევა, დაკავშირებული ყოფილა მიწისქვეშა გზით მანგლისის უძველეს ეკლესიასთან.

მანგლისიდან სამხრეთ-დასავლეთით 2 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, ყურადღებას იქცევს უძველესი გამოქვაბული კლდეში; იქვე მახლობლად უკლესიისა და ნაგებობათა ნანგრევებია.

მანგლისიდან 10 კილომეტრის მანძილზე ეგრეთ წოდებულ „საკრისის მთაზე“ აღმართულია ჯვარი—მარიამ-ჯვარი, საიდანაც ერთ კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე, გოხნარის ეკლესიის ნანგრევებს იქით, არსებობს დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძვეგლი—ციკლოპური ქალაქი.

სპორტის დამსახურებული ოსტატის, ცნობილი ალპინისტის ი. ასლანიშვილის აზრით, მანგლისი დიდი ყურადღების ლირსია ტურისტული ხასიათის ფრიად საინტერესო მარშრუტების სიუხვის მხრივ. აქედან შეიძლება ექსკურსიების მოწყობა ახლობელი მთების მწვერვალებზე (2000—3000 მ ზღვის დონიდან). მანგლისის გენერალური დაგეგმარების პირველი რიგის ობიექტთა შორის აქ უნდა გათვალისწინებულ იქნეს ტურისტის სახლის მშენებლობა, რომელიც გადაიქცევა ამ დარგში თბილისის გარეუბნის კურორტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ბაზად.

მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული მონაცემები და კლიმატური დასაცავება

კურორტი მანგლისი მდებარეობს თრიალეთის ქედის ერთ-ერთი შტოს ფერდობის ფართო პლატოზე, რომელიც დასერილია საში მთის მდინარის ხეობით. ჩრდილოეთით ცივი ქარებისაგან მას იცავს თრიალეთის ქედის ერთ-ერთი შტო (დიდი-გორა), საიდანაც შეიძლება გადასვლა ქართლის ველზე; დასავლეთით მდებარეობს წალკის მაღალი პლატო, რომელიც მთავრდება საკრისის მთით მდინარე ალგეთის

მახლობლად. სამხრეთით მოთავსებულია ბედენის მაღლობი, აღმოსავლეთით კი – იმავე თრიალეთის ქედის შტო.

ამრიგად, მანგლისის პლატო ყოველი მხრიდან გარშემო-რტყმულია მთებით, რის გამო ამ რაიონში ქარი მცირე სიძლიერისაა.

კურორტის ტერიტორიას სჭრის მდინარე ალგეთი, რომე-ლიც იწყება თრიალეთის ქედის სამხრეთით მდებარე ფერდო-ბიდან, მთა კლდეკარის მახლობლად; ეს მდინარე წარმოად-გენს დამსვენებელთა სასეირნო და საბანაო ადგილს.

მანგლისის სპეციფიკურ კლიმატურ თავისებურებას წარმო-ადგენს მისი ტემპერატურის შედარებით მაღალი მაჩვენებ-ლები. ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მონაცემებით, მანგლისის ტემპერატურა ზაფხულის თვეებში, აბასთუმანთან შედარებით, მაღალია დაახლოებით $0,8^{\circ}$, ზამთრის თვეებში კი – 2-დან 4° -მდე. საშუალო განსხვავება $1,4^{\circ}$ მეტია. თუმცა მანგლისი აბასთუმნის სიმაღლეზე მდებარეობს, მაგ-რამ იგი სხვა ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში იმყოფება. ამის გამო მანგლისის კლიმატი საგრძნობლად განსხვავდება აბასთუმნის კლიმატისაგან.

მთავარი განსხვავება ის არის, რომ მანგლისი მდებარეობს პლატოზე, აბასთუმანი კი ვიწრო ხეობაში. პლატო, რომელ-ზედაც მოქცეულია მანგლისი, გარშემორტყმულია წიწვიანი ტყეებით დატარული მთებით. პლატო მაქსიმალურად ღიაა სამხრეთის მიმართულებით, რაც ხელს უწყობს ადგილის ხანგრძლივ გათბობას.

ადგილის ოროგრაფიული პირობები ხელს უწყობს ადგი-ლობრივი ქარების განვითარებას, რაც რეგულარულად უზრუნველჰყოფს პლატოს ნორმალურ ვენტილაციას. მანგ-ლისში გაბატონებულია აღმოსავლეთის, დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ქარები.

მანგლისის რაიონი ხასიათდება ზომიერი ტენიანობით. ზაფხულის თვეებში ფარდობითი ტენიანობა დღის 13 საათი-სათვის უდრის, დაახლოებით, 65% ; დღე-ღამის კი – 68% , იმ დროს, როდესაც იგივე მაჩვენებლები აბასთუმნისათვის შეადგენს 50% და 72% .

ტემპერატურის და ტენიანობის მერყეობა მანგლისში ნაკლებია აბასთუმანთან შედარებით, რაც იმით აიხსნება, რომ მანგლისი იმყოფება პლატოზე. მანგლისის ჰორიზონტის გაშლილობა უზრუნველჰყოფს მზის მოქმედების ხანგრძლიობას.

მანგლისში მზის ნათების ხანგრძლიობა, საშუალოდ, წლის განმავლობაში უდრის 2000—2100 საათს.


მანგლისის შედარებით არახელსაყრელ კლიმატურ ფაქტორს წარმოადგენს ნისლიანობა, აბასთუმანში კი ნისლი სრულიად არ იცის.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნისლი მანგლისში დიდხანს არ გრძელდება. მისი ხანგრძლიობა არ აღემატება საშუალოდ 1—2 საათს დღე-ლამეში.

ძურულის საგაურნალო მნიშვნელობა

სანამ მანგლისის სამკურნალო მნიშვნელობის შეფასებაზე გადავიდოდეთ, შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ იმ მცირე-რიცხოვან სამეცნიერო დაკვირვებას, რომლებიც ჩატარებულია მანგლისში, ძირითადად, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში.

ოც წელზე მეტი ხნის დაკვირვებებმა ექ. ვორობიევი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მანგლისი წარმოადგენს მაღალი სამკურნალო თვისებების მქონე კურორტს ბავშვთა ტუბერკულოზის სხვადასხვა ფორმის, განსაკუთრებით კი, ტუბერკულოზური ინფილტრატებისა და ინტოქსიკაციების დროს. ადგილობრივი მოსახლეობის გამოკვლევამ დაარწმუნა ის მანგლისის ჰავის განსაკუთრებულ სიჯანსაღეში. ხუთი წლის განმავლობაში კლინიკურად ჯანსაღი ბავშვების შედარებითმა შესწავლამ, ჯერ თბილისის პირობებში და შემდეგ კი მანგლისში, ვორობიევი მიიყვანა დასკვნამდე, რომ მანგლისის ჰავის გავლენით მაგრდება ბავშვის ნერვული სისტემა, მნიშვნელოვნად უმჯობესდება სისხლის შემაღენლობა, ძლიერდება ორგანიზმის გამძლეობა ინფექციების წინააღმდეგ, ძლიერდება ზრდის პროცესი და უმჯობესდება სულიერი განწყობილება.



მანგლისი — კურორტთა სამმართველოს სანატორიუმი.



ეროვნული
ბიბლიოთეკი



მანგლისი — კურორტის აგარაკები.

ი. ლორთქითანიძემ, გ. ბოკერიამ, კ. კასუ-
 ბოვმა და ქ. ქუთელიამ დაკვირვება აწარმოეს ბავშვთა
 სხვადასხვა ფორმის ტუბერკულოზის მიმღინარეობაზე მანგ-
 ლისის კლიმატის პირობებში და მივიღნენ დასკვნამდე, რომ
 ავადმყოფთა 50% ფილტვებში ხიხინი სრულიად გაუქრა,
 მათი საერთო მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა;
 ამავე დროს, ავადმყოფებმა წონაში მოიმატეს, მათი სისხლის
 შემაღენლობა გაუმჯობესდა, რასაც თან მოჰყვა ავადმყოფის
 გამოჯანსაღების სხვა ნიშნებიც. მძიმე ავადმყოფების საერთო
 მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითადი მაჩვენებლები იყო
 წონასა და სისხლში ჰემოგლობინის ზრდა. ტუბერკულოზის
 ინფილტრაციული ფორმები, იმავე ავტორების აზრით, გან-
 კურნებისათვის მოითხოვს უფრო ხანგრძლივ მკურნალობას
 კურორტზე, ვიდრე ფიბროზულ-ციროზული ფორმები.

ი. ცინცაძეს და მ. ბოკერიას დაკვირვებით, ტუბერ-
 კულოზიან ავადმყოფთა გულისა და სისხლძარღვთა სისტემა
 კურორტ მანგლისის კლიმატური კომპლექსის გავლენით
 მნიშვნელოვნად უმჯობესდება, რაც გამოიხატება ტაქიკარ-
 დიის შემცირებაში, სისხლის წნევის გადიდებაში და ნორმა-
 ლიზაციაში (ტუბერკულოზიან ავადმყოფებს, როგორც წესი,
 სისხლის წნევა დაქვეითებული აქვთ).

ს. მაჩაბლის დაკვირვებით, ტუბერკულოზიანი ბავშვე-
 ბის ძირითადი ცვლა, მანგლისის ჰავის ზეგავლენით, უმეტეს
 შემთხვევაში, ძლიერდება, რასაც თან სდევს ავადმყოფთა
 საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ
 ძირითადი ცვლა ბავშვებს უძლიერდებათ კურორტზე ყოფნის
 მე-10—15 დღიდან.

ს. მაჩაბლის და ა. მირიმანვის მიერ
 მანგლისის ბავშვთა სანატორიუმში ჩატარებული დაკ-
 ვირვებიდან გამოირკვა, რომ მანგლისში ბავშვთა წონის
 მატებას, მეტ შემთხვევაში, წინ უძლვის წონის დაკარგვის
 შოკლე პერიოდი. წონის მატება განსაკუთრებით ენერგიუ-
 ლად მიმღინარეობს პირველ თვეში; მეორე თვის განმავლო-
 ბაში, უმრავლეს შემთხვევაში, წონის მატება გრძელდება,

მაგრამ უფრო შენელებულად; მესამე თვეში კი წლის მაჩვენებლები მყარი ხდება.

3. ნანე იშვილის ინიციატივით, 1936 წლის ზაფხულის სეზონში, ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მიერ შესწავლილ იქნა მანგლისის ბავშვთა სანატორიუმის ლია აივნისა და მასთან გვერდით მდებარე პალატის მიკროკლიმატური ფაქტორები; გამოირკვა, რომ ტემპერატურის მერყეობა დანურულ პალატაში უფრო დიდია, ვიდრე ლია აივანზე. ტემპერატურის განსხვავება შეაღგენს $4,3^{\circ}$ -დან $5,6^{\circ}$ -მდე. პალატაში ორგანიზმის თბოგაცემა გნიშვნელოვნად შეზღუდულია აივანთან შედარებით. ორთქლის რაოდენობა პალატის ჰაერში მეტია, ვიდრე აივანზე. ფარდობითი ტენიანობა ორივე შემთხვევაში ერთ დონეზე დგას.

4. ბაქრაძის დაკვირვებით, ტუბერკულოზური ავალმყოფების მკურნალობის ეფექტიანობის მხრივ მანგლისი თითქმის არ ჩამორჩება კურორტ აბასთუმანს. მისივე დასკვნით, როგორც ერთმხრივი, ისე პირველადი პნევმოთორაქსის მანგლისში გაკეთება არ არის წინააღმდეგ ნაჩვენები იმ პირობით, თუ არ აღინიშნება გულის ნაკლოვანება. კ. კასუმოვის დასკვნით, მანგლისის კლიმატი ფრიად დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა ლიმფური ჯირკვლების ანთებითი პროცესებისა და ქრონიკული ბრონქიტის მკურნალობის დროს.

ი. გოლდმანმა შეაჯამა 1947 წლის საზაფხულო სეზონში მანგლისის ბავშვთა სანატორიუმებში ჩატარებული მუშაობა. აღმოჩნდა, რომ სანატორიუმებში გატარებული 550 ბავშვიდან, რომლებიც დაავადებული იყვნენ ლიმფური ჯირკვლების ანთებით და სისხლნაკლულობით, თითქმის ყველა (545) გაეწერა ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით და მხოლოდ 5 გაეწერა უცვლელ მდგომარეობაში. ავალმყოფთა 98,6% მოიმატა 2—3 კგ, 18,2% კი—3 კგ, და მეტი. დაახლოებით ასეთივე შედეგებია მიღებული კოჯრისა და წყნეთის ბავშვთა სანატორიუმებშიც (ს. ბერძენიშვილი).

ზემოთ მოყვანილ ცნობებთან ერთად, მანგლისის ფიზიკურგეოგრაფიული და კლიმატური მაჩვენებლები უფლებას გვაძება.

ლევს ამ კურორტს მივანიჭოთ ერთ-ერთი პირველი ადგილ-
 თაგანი სამთო-კლიმატურ საღგურთა შორის; ამავე დროს,
 სითბოს ბალანსით, ჰაერის სიმშრალით, ქარების ზომიერე-
 ბით და მზის ნათების ხანგრძლიობით მანგლისი უფრო
 მაღლა დგას მსოფლიოში განთქმულ მრავალ სამთო-კლიმა-
 ტურ კურორტზე.

ავალმყოფთა მკურნალობის ზემოაღნიშნული შედეგები
 აშკარად გვიმტკიცებენ, რომ მანგლისი თავისი კლიმატური
 კომპლექსით უეჭველად ხელს უწყობს ტუბერკულოზური
 ხასიათის მთელ რიგ დაავადებათა ეფექტიან მკურნალობას,
 განსაკუთრებით კი ბავშვთა ასაკში.

სისხლის შემადგენლობის გაუმჯობესება მანგლისის კლიმა-
 ტის პირობებში მკურნალობის შედეგად აიხსნება აღამიანის
 ორგანიზმზე მთის ჰავის გავლენით.

როგორც ცნობილია, ძვლის ტვინზე მთის ჰავის გამაღი-
 ზიანებელი მოქმედების გამო სისხლი მდიდრდება სისხლის
 წითელი ბურთულებით; პარალელურად იმატებს ჰემოგლობი-
 ნის ოოდენობაც. ამავე დროს, ცნობილია, რომ მთის ჰავის
 გავლენით ხდება ნერვული სისტემის ვარჯიში, ფსიქიკური
 ტონუსის გამოსწორება, ძლიერდება ორგანიზმის გამძლეობა
 ინფექციების მიმართ და სხვა.

მანგლისის პირობებში მკურნალობის დროს, კურორტულ-
 სანატორიული რეჟიმის დაცვასთან, დიეტურ კვებასა და
 სამკურნალო ფიზკულტურასთან ერთად, განსაკუთრებული
 ყურადღების ღირსია ჰაერისა და მზის გამოყენება; ჰაერის
 აბაზანები (აეროთერაპია) და განსაკუთრებით მზის აბაზანები
 მზის დოზირებული პროცედურების სახით (ჰელიოთერაპია)
 სათანადოდ მოწყობილ სოლარიუმებში, მნიშვნელოვნად
 ადიდებს მკურნალობის ეფექტიანობას.

კურორტის განვითარების პირსპექტივები

მანგლისი ითვლება ადგილობრივი მნიშვნელობის საგარე-
 უბნო კურორტად, მიუხედავად იმისა, რომ თავისი მნიშვნე-
 ლობით ის დიდი ხანია გამოვიდა ამ ჩარჩოებიდან.


თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საკურორტო სამმართველოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეს კურორტი მხოლოდ ზაფხულის მოკლე სეზონში ატარებს 10.000-მდე ავადმყოფს და დამსვენებელს. თბილისელების გარდა, აქ შეხვდებით სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულებს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან და მეზობელი რესპუბლიკებიდანაც კი.

მანგლისის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობები მთლიანად აკმაყოფილებს პირველხარისხოვან მთის კლიმატური კურორტის მოთხოვნებს და სრულ უფლებას ანიჭებს მას საპატიო აღგილი დაიკავოს რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტთა სიაში.


მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში ამ კურორტის სიახლოეს ისეთ დიდ აღმინისტრაციულ-კულტურულ და სამრეწველო ცენტრთან, როგორიც არის თბილისი, აშკარა ხდება, რომ მან, ძირითადად, მომსახურება უნდა გაუწიოს ამ ქალაქის მოსახლეობას.

როგორი უნდა იყოს ამ კურორტის პროფილი, სამკურნალო თუ პროფილაქტიკური. ვისთვის უნდა იყოს იგი განკუთვნილი—ავადმყოფებისათვის თუ მხოლოდ დამსვენებლებისათვის? ვფიქრობთ, რომ მანგლისის პროფილი უნდა იყოს სამკურნალო-პროფილაქტიკური.


რაც შეეხება კურორტის კონტინგენტის ასაკობრივ შემადგენლობას, ჩვენი აზრით, იგი უნდა მოემსახუროს როგორც სრულასაკოვანთ და მოზარდებს, ისე ბავშვებს, ძირითადად კი—ამ უკანასკნელთ, რაღაც მანგლისის ჰავა განსაკუთრებით კარგ გავლენას ახდენს ბავშვის ორგანიზმებს. ამავე დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ქალაქის ბავშვთა მოსახლეობა, პირველ რიგში, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, როგორც მკურნალობით, ისე დასვენებით ადვილად ხელმისაწვდომ ახლომდებარე კურორტებზე; ეს ხელსაყრელი და მიზანშეწონილია როგორც ბავშვებისათვის, ისე მათი მშობლებისათვისაც, რომელნიც მოისურვებენ სამკურნალოდ ან დასასვენებლად გაგზავნილ ბავშვთა ნახვას კვირაში ერთხელ მაინც.



მანგლისი — მეტეოროლოგიური სადგური.



მანგლისი — სანატორიუმი № 2.



մանզլ-իսո — քյուրօնընու ագարակըն.

ერთი შეხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ კურორტის ასეთი შერეული პროფილი ერთგვარ არევ-დარევას გამოიწვევს. მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში, რომ საკურორტო მშენებლობისა და კურორტზე სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების განვითარება უნდა ხდებოდეს მხოლოდ კურორტის გენერალური დაგეგმარების პროექტის საფუძველზე, რეალური ხდება ზემოაღნიშნული შერეული კონტინგენტის მომსახურების აღვილად მოწესრიგება.

აქედან გამომდინარე, მანგლისისათვის პირველი რიგის ამოცანას შეადგენს კურორტის გენერალური დაგეგმარების პროექტის შედგენა. პროექტში გათვალისწინებულ იქნება ცალ-ცალკე ტერიტორია ბავშვებისა, მოზარდებისა და სრულასაკოვანთათვის, ავადმყოფებისა და დამსვენებლებისათვის სანატორიუმების, პანსიონატების, სასტუმროსი და კოტეჯების მშენებლობა; ცალკე გამოყოფილი იქნება უბანი კურორტის მომსახურე პერსონალისათვის; აგრეთვე გათვალისწინებული იქნება წყალსადენის, ელექტრომომარაგების, კანალიზაციის, პოლიკლინიკის, ტურისტული ბაზის, ფიზკულტურის მოედნების, ფიზიოთერაპიული სამკურნალოს, სოლარიუმის და აერარიუმის, კინო-თეატრის, პარკების მოწყობა და მშენებლობა, კურორტის გამწვანება და სხვ.

მანგლისი თავისი მაღალი სამკურნალი თვისებებით და მდიდარი ბუნებრივი პირობებით, მისი გეგმიანი საკურორტო მშენებლობის შედეგად, ახლო მომავალში, უდავოდ შევა მთელი წლის განმავლობაში მოქმედ სახელმწიფო მნიშვნელობის პირველხარისხოვან სამთო-კლიმატურ კურორტთა რიცხვში.

ავადმყოფთა გაურნალობის ჩვენიბანი

1. ფილტვების ტუბერკულოზის დახურული ფორმები კომპენსაციის და სუბკომპენსაციის პერიოდში;
2. ლიმფური ჯირკვლების ტუბერკულოზი (დახურული ფორმები);
3. მშრალი პლევრიტი (აღჭეზიური);

4. ძვლისა და სახსრების ტუბერკულოზი (არამძიმე ფორმები სათანადო სტაციონარის არსებობის პირობებში);
5. ქრონიკული ბრონქიტი;
6. მალარია;
7. მეორადი ანემია;
8. ბრონქული ასა მა (არამძიმე ფორმები);
9. რაჭიტი;
- 10: მწვავე ინფექციურ დაავადებათა გაღატანის შემდეგი პერიოდი (რეკონვალესცენცია).

ფინანსდებაზებანი

1. ფილტვების ტუბერკულოზი დეკომპენსაციის სტადიაში;
2. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი (დეკომპენსაციის და სუბკომპენსაციის სტადიაში);
3. ყველა დაავადება, რომელთა მკურნალობა კურორტზე საერთოდ წინააღმდეგნაჩვენებია.



კურორტი წყნეთი

გარეუბნის კურორტებს შორის წყნეთი უახლოესია თბილისთან, რომლიდანაც ის მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთით 8 კილომეტრის მანძილზე და დაკავშირებულია მასთან ახლად გაუვანილი საავტომობილო გზატკეცილით. გზა გადაჭრის კურორტის ტერიტორიას, გაივლის სამაღლოს და უერთდება თბილის-მანგლისის გზატკეცილს. თბილისიდან წყნეთამდე არის საცალფეხო გზაც, რომელიც საგრძნობლად ამცირებს მანძილს კურორტამდე. კურორტ წყნეთის სიახლოვე ისეთ დიდ ქალაქთან, როგორიცაა თბილისი, მნიშვნელოვნად ამაღლებს მის სამკურნალო-პროფილაქტიკურ მნიშვნელობას.

კურორტი მდებარეობს ლია პლატოზე, საიდანაც თვალშინიშვლება დიდებული სანახაობა: საქართველოს დედაქალაქი თბილისი, მის სილრმეში მოქცეული მახათის მთა, იორის ხეობის იქით აღმართული მთები, საგურამოს ველი და კავკასიონის მთავარი ქედის თოვლით დაფარული მწვერვალები.

წყნეთის ხეობაში გადის პატარა მდინარე ვერა, რომელიც უერთდება მდ. მტკვარს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე.

თვით სოფელი წყნეთი, რომელიც მდებარეობს კურორტის ტერიტორიის დაწყებამდე, წარმოადგენს მჭიდროდ დასახლებულ ადგილს. აქ საცხოვრებელი სახლები, მცირე საეზოვე მიწის ნაკვეთებით, რომელსაც იყენებენ ბოსტნეულისა და ხეხილისათვის, მჭიდროდ არიან განლაგებული.

ძველი დროიდან წყნეთი ცნობილია თბილისის მოსახლეობაში, როგორც სააგარაკო ადგილი. სააგარაკო მშენებლობა აქ დაიწყო ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში. ამის შემდეგ გამოიყო ტერიტორია სააგარაკო მშენებლობისათვის, რომელიც შემდეგში გადაიქცა საკურორტო მშენებლობის ზონად.

სამკურნალოდ და დასასვენებლად ჩამოსულნი, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონში, ეწყობიან საცხოვრებლად უმთავრესად კოლმეურნეთა სახლებში. საკურორტო სამმართველოს საბინაო ფონდი შეადგენს სულ 17—18 სახლს 70—80 ოთახით. ცალკეული საზაფხულო სეზონის განმავლობაში კურორტი წყნეთი ატარებს 1.500 ავადმყოფსა და დამსვენებელს.

უკანასკნელ წლებში მეტად გამოცოცხლდა სააგარაკო მშენებლობა, როგორც კონპერაციული, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა მხრივ; ამის გამო შესამჩნევად გადიდდა სააგარაკო ნაგებობათა რიცხვი, განსაკუთრებით ზემორაიონში—კურორტის ცენტრალური ნაწილიდან 1—1,5 კმ მოშორებით.

უკანასკნელი 2—3 წლის მანძილზე წყნეთში ჩატარდა კეთილმოწყობის სამუშაოები, რის შედეგად კურორტი უზრუნველყოფილია წყალსადენით და ელექტროგანათებით.

კურორტის გამწვანებამ (წიწვიანი ჯიშებით), რაც ნაწილობრივ ჩატარებულ იქნა 1935 და 1936, ხოლო შემდეგ 1950—51 წლებში, კარგი შედეგი გამოიღო, მაგრამ, რასაკვირველია, ეს არაა საკმარისი.

წყნეთში 1936 წელს მოწყობილი მეტეოროლოგიური სადგური ჯერ კიდევ სამამულო ომამდე გაუქმდა და ჯერ არ არის აღდგენილი, რამაც არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ იქონიოს ამ კურორტის კლიმატური ფაქტორების სისტემატურ შესწავლაზე.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებებიდან 1938 წლიდან დღემდე აქ არსებობს თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანრთელობის დაცვის განყოფილების საკურორტო სამმართველოს საბავშვო სანატორიუმი 100 საწოლით, რკინიგზელთა დასასვენებელი სახლი, თბილისის გარეუბნის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ამბულატორია, აფთიაქი და ფიზკულტურის მოედანი; არის აგრეთვე სატელეფონო კავშირი თბილისთან. სახელმწიფო კონპერაციულ და საკოლმეურნეო სავაჭრო წერტებში ავადმყოფებსა და დამსვენებლებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ სამრეწველო საქონელი და სურსათი. ადგილობრივ ბაზარზე კოლმეურნეებს გამოაქვთ ხორ-

ცი, ფრინველი, თაფლი, რძის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი და სხვა.

კურორტ ჭავეთის მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული და გლიგატური დახასიათება

წყნეთი მდებარეობს პლატოზე, რომლის სამხრეთი ნაწილი უკვრის მცირედ ამაღლებულ მთის ჯაჭვს; კურორტის ტერიტორია და მის გარშემო მდებარე მთები მთლიანად დაფარულია დაბალი ტყით.

მეტეოროლოგიური დაკვირვებები წყნეთში დაიწყო 1936 წელს. არსებული მასალების მიხედვით, კურორტის ჰავას ახასიათებს შემდეგი თავისებურებანი.

წყნეთში ზაფხულობით $2,5^{\circ}$ -ით უფრო გრილა, ვიდრე თბილისში და $1,2-1,5^{\circ}$ -ით, ვიდრე მთაწმინდაზე. ზამთრის თვეებში განსხვავება უფრო ნაკლებია.

ცხელი ზაფხულის პირობებში, რომელიც ახასიათებს თბილისს და მის მიღამოებს, წყნეთი განსხვავდება მნიშვნელოვანი სიგრილით, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზმის მიერ სითბოს გაცემის კომფორტულ პირობებს. ასეთი სიგრილის მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს მარტო სიმაღლის დონეთა განსხვავება.

წყნეთის ჰაერის ტემპერატურაზე გარკვეულ შემანელებელ გავლენას ახდენს ადგილის ვენტილაციის იდეალური პირობები — ადგილობრივი ქარები და მცენარეულობა. წყნეთში არსებული ატმოსფერული მოძრაობა თავისი მიმართულებით და სიჩქარით ხელს უშლის ჰაერის დაგუბებას და უზრუნველყოფს მის ნორმალურ ვენტილაციას.

დიდი კლიმატური მნიშვნელობა ეძლევა ადგილობრივ ქარებს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ქარის სისწრაფის შედარებით მცირე მაჩვენებლები, რაც თავისებურს ხდის. წყნეთის ირგვლივ მდებარე ადგილებთან შედარებით და აახლოებს მის კლიმატურ კომპლექსს კომფორტულ პირობებთან. წყნეთის ჰავის ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებლები ზომიერია. კურორტის ზომიერი სიმაღლის ($700-850$ მ.), ჰორიზონტის

გაშლილობისა და მწვანე საბურველის სიუბნის გამო, კურორტი ხასიათდება მცირე მტვერიანობით, აღმოსფეროს მაღალი გამჭვირვალობით და მზის სხივების ხანგრძლივი მოქმედებით.

კურორტის ზემოაღნიშნულ მეტეოროლოგიურ ფაქტორთა თავისებურების გამო წყნეთი თბილისასათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი საკურორტო აღგილია.

კურორტის სამკურნალო თვისებები და მისი განვითარების პრესკრიპები

წყნეთის ძირითადი სამკურნალო ფაქტორის — ჰაერის — დაავადებულ და ჯანმრთელ ორგანიზმზე გავლენის შესახებ უკანასკნელ წლებამდე არ ტარდებოდა მეცნიერული დაკვირვება. მრავალი წლის ემპირიული მონაცემები აშკარად მიუთითებენ წყნეთის მაღალ სამკურნალო ეფექტიანობაზე მთელ რიგ დაავადებათა დროს. იმ ექიმთა აზრით, რომელთაც უმუშივნიათ წყნეთში რამდენიმე წლის განმავლობაში (ს. ბერძენიშვილი, გ. მედმარიაშვილი და სხვ.), და აგრეთვე ჩვენი საკუთარ დაკვირვებათა მიხედვით, უდავოდ დასტურდება ამ კურორტის მთის ჰაერის მაღალი სამკურნალო ეფექტიანობა ლიმფადენიტის, ბავშვთა ტუბერკულოზური ინფილტრატის, ქრონიკული ბრონქიტის, მეორადი სისხლნაკლულობის და სხვა დაავადებათა დროს; განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წყნეთს რეკონვალესცენტრებისათვის (მწვავე დაავადებათა გადატანის შემდეგი პერიოდი).

1950 წელს ზაფხულის სეზონში (ივლისი-აგვისტო) საქართველოს სსრ კურორტოლოგიისა და ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მიერ (ა. სიჭინავა გ. ჭირაქაძე, ე. ჩილინგარაშვილი, ტ. გორდელაძე, გ. ქათამაძე) ჩატარებული დაკვირვებიდან გამოირკვა, რომ წყნეთის კურორტულ ფაქტორთა გავლენით ტუბერკულოზური ლიმფადენიტით დაავადებულ ბავშვებს უქრებათ ტუბერკულოზური ინტონესიკაციის ნიშნები (იშვიათდება გახშირებული მაჯა და სუნთქვა, ნორმალური ხდება სისხლის წნევა), ძლიერდება სისხლის წარმომშობი სისტემის ფუნქცია (მატულობს ერითროციტების და ჰემოგლობინის რაოდენობა) და უმჯობესდება ბავშვთა ფიზიკური მდგომარეობა (ბავშვები მატულობენ წონაში, ეზრდებათ გულმკერდის გარშემოწერილობა) და სხვა.

ამავე დროს გამოირკვა, რომ წყნეთის კურორტული ფაქტორები და ფრთხილად დოზირებული აერო-ჰელიოთერაპიული პროცედურები დადებით გავლენას ახდენს დაავადებულ ბავშვთა ორგანიზმზე.

შეიძლება ითქვას, რომ თავისი კლიმატური მაჩვენებლებით წყნეთი არ ჩამოუვარდება ბევრ ჩვენ სახელგანთქმულ კლიმატურ კურორტს; ის ფაქტი, რომ წყნეთი აღვილად ხელმისაწვდომია თბილისის მშრომელთა ფართო ფენებისათვის, უდავოდ ამალლებს ამ სამთო-კლიმატური საღვურის ლირსებას.

წყნეთი უზრუნველყოფილია საკმაო ფართობით საკურორტო მშენებლობის გასაშლელად. ამ აღვილის სამკურნალო შესაძლებლობათა მთლიანად გამოყენებისათვის საჭიროა მისი კეთილმოწყობა. საჭიროა წყნეთის ფართო გამწვანება, პირველ რიგში წიწვიანი ჯიშებით; დაცულ უნდა იქნეს მის გარშემო მდებარე მთის ფერდობებზე გაშენებული მწვანე ნარგავები. ეს ლონისძიებანი არა თუ დაიცავენ ამ კურორტის კლიმატურ თვისებებს, არამედ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ მათ. წყნეთის გეგმიანი საკურორტო მშენებლობის მიზნით უკვე შედგენილი და დამტკიცებულია მისი გენერალური დაგეგმარების პროექტი. პროექტით გათვალისწინებულია წყალსადენის და კანალიზაციის მოწყობა, საგზაო მშენებლობა, კურორტის გამწვანება, ელექტროენერგიით მომარაგება, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, სასტუმროს, კოტეჯების მშენებლობა და ა. შ. ამ გეგმის შესაბამისად წყალსადენი უკვე გაყვანილია და კურორტი უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით.

კურორტი წყნეთი შემდეგში გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც სამკურნალო-პროფილაქტიკური კურორტი. კურორტის სამკურნალო პროფილი უნდა შენარჩუნებულ იქნეს ბავშვთა სანატორიული საწოლების ხარჯზე. ამ უკანასკნელთა რიცხვი შეიძლება. განისაზღვროს 800—1000-ით. მათ შორის 50% უნდა მოქმედებდეს მთელი წლის განმავლობაში;

გენერალური დაგეგმარების პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს კურორტის რაიონებად დაყოფა სანატორიუმე-

პისა, პროფილაქტიკურ დაწესებულებათა და კურორტის კონტინგენტის ასაკობრივი შემადგენლობის მიხედვით.

ამრიგად, ვითვალისწინებთ რა კურორტის კლიმატურ-სამკურნალო და კლიმატურ-პროფილაქტიკურ თვისებებს და მის სიახლოვეს თბილისთან, ვთიქრობთ, რომ წყნეთი, რაციონალური და გეგმიანი განვითარების პირობებში, უახლოეს მომავალში გადაიქცევა თბილისის პირველხარისხოვან საგარეუბნო კურორტად.


ავადმყოფთა გაურნალობის ჩვენებაზი

1. ლიმფადენიტი (ბრონქოპულმონური და პერიფერიული ჯირკვლების);
2. ქრონიკული ბრონქიტი;
3. ქრონიკული პლევრიტი (განსაკუთრებით ადჰეზიური);
4. მეორადი სისხლნაკლულობა;
5. მალარია;
6. რეკონვალესცენციის პერიოდი (მწვავე დაავადების გადატანის შემდეგი პერიოდი).
7. რაქიტი;
8. ბრონქული ასთმა;
9. კვების დაჭვეითება;
10. ნევროზის იოლი ფორმები;


ჭინააღმდეგისჩენებაზი

1. ფილტვების ტუბერკულრიზის ლია ფორმა;
2. ყველა მწვავე ინფექციური დაავადება;
3. ყველა დაავადება, რომელიც საერთოდ წინააღმდეგნაჩვენებია კურორტებზე მკურნალობისათვის.






წყნეთი — ბავშვთა სანატორიუმი (1-ლი კორპუსი).



წყნეთი — ბავშვთა სანატორიუმი,



ეროვნული
ბიბლიოთეკი



კიკეთი — აგარაკები.

კურორტი კიკეთი

თბილისის გარეუბნის კურორტთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი კიკეთს უჭირავს. იგი მდებარეობს თბილისიდან 31 კილომეტრის მანძილზე, მისგან სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით თბილის-მანგლისის გზატკეცილზე; ეს გზატკეცილი გაივლის კურორტ კოჯრის ცენტრს და დაბა სამაღლოსთან იძლევა სამ განშტოებას: ბეთანიისა, წყნეთისა და კიკეთისაკენ.

კიკეთის გეოგრაფიული კოორდინატები დაახლოებით ისეთივეა, როგორიც კოჯრის— $41^{\circ} 39'$ ჩრდილოეთის განედი და $44^{\circ} 29'$ აღმოსავლეთის გრძელი. კურორტი იმყოფება 1100—1150 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

კიკეთმა, ახლომდებარე რაიონების და, პირველ რიგში, თბილისის მოსახლეობაში სახელი მოიხვეჭა და ყურადღება-მიიპყრო თავისი კლიმატური და სამკურნალო თვისებებით, მშვენიერი ბუნებით და, ამასთან ერთად, სიახლოვით. კიკეთი თბილისის მოსახლეობისათვის ერთ-ერთი მაღალლირებიანი და ადვილად ხელმისაწვდომი დასასვენებელი ადგილია.

კიკეთში სააგარაკო მშენებლობა დაიწყო გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში თბილისის განვითარებისა და მისი მოსახლეობის ზრდის, პარალელურად.

კიკეთში სააგარაკო მშენებლობის ტემპი განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

არსებული ცნობების მიხედვით, 1940 წლისათვის კიკეთის 75 სააგარაკო ნაგებობას შორის, რომლებშიც არ შედის ადგილობრივ კოლმეურნეთა და სხვა შენობები, მარტო თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების-

საკურორტო სამმართველოს მიერ აშენებულია 26 სააგარაკო სახლი.

ზემოაღნიშნული საბინაო ფონდი, კოლმეურნეთა და სხვა
აღგილობრივ მოსახლეთა ბინების ჩათვლითაც კი, რა თქმა
უნდა, ვერ აკმაყოფილებს მთლიანად იმ დიდ მოთხოვნილე-
ბას, რომელსაც უყენებს კურორტს თბილისის მოსახლეობა
ზაფხულის პერიოდში.

სააგარაკო ნაგებობანი ერთმანეთისაგან საგრძნობლად
არის დაშორებული და გაფანტულია კურორტის ტერიტო-
რიის მთელ ფართობზე, რომელიც 400 ჰექტარს აღწევს.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ კურორტს საშუალება აქვს
მშენებლობისათვის გამოიყენოს ორჯერ მეტი ტერიტორია,
ვიდრე მას ამჟამად უჭირავს.

კიკეთის მუდმივი მოსახლეობა არაა მრავალრიცხვანი.
ჩვეულებრივ, ივნისის თვიდან კურორტს ეტყობა გამოცოცხლე-
ბა და ივნისის ბოლო რიცხვებისათვის დამსვენებელთა რიცხვი
აღწევს 500, ივლისში 800, აგვისტოში 1100, შემდეგ უკვე
მცირდება და სექტემბერში იგი აღწევს 400 დამსვენებლამდე.

კიკეთის წყაროები საუცხოო წყლით ამარაგებენ კურორტს.
ელექტრო-განათებისათვის კურორტს აქვს საკუთარი თბო-
სადგური.

სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებიდან კიკეთ-
ში ზაფხულობით მუშაობს საკურორტო სამმართველოს
პოლიკლინიკა კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიით,
ბავშვთა სანატორიუმი, აფთიაქი; არსებობს ფიზკულტურის
მოედანი და სხვა.

კურორტზე გახსნილია სამრეწველო საქონლისა და სასურ-
სათო მაღაზიები და სხვადასხვა სახელმწიფო კოოპერაციული
ორგანიზაციების კიოსკები. აქვე მოწყობილია ბაზარი, სადაც
დამსვენებლებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ კოლმეურნე-
ებისაგან ფრინველი, კვერცხი, რძის ნაწარმი, ხორცი, ბოსტ-
ნეული, ხილი და სხვა.

მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული და გლიგაციური დახასიათება

კურორტი კიკეთი მდებარეობს თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე.

კურორტს უკავია ფერდობის დაბალი ნაწილი, რომელიც დაფარულია ფოთლოვანი ჯიშის ხშირი ტყით. კურორტის ტერიტორია შეიძლება დაყოორთონად; პირველს უჭირავს ჩრდილოეთის ფერდობი, რომელიც ლიან ჩრდილოეთიდან ატმოსფერული დინების მოქმედებისათვის. ეს ზონა დახურულია სამხრეთის მხრიდან და ამიტომ იგი შედარებით მცირედ თბება. მეორე ზონას უჭირავს სამხრეთის ფერდობი და ლიან როგორც სამხრეთის, ისე აღმოსავლეთის მხრიდან. მისი დასხივება მაქსიმალურია და გათბობა საკმარისი. ჰავის მხრივ ეს ორი ზონა საკმაოდ განირჩევა ერთმანეთისგან. სამხრეთ ნაწილში კლიმატური პირობები უკეთესია, ვიდრე ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც დღის პირველ ნახევარში ჩრდილში იმყოფება.

მეტეოროლოგიური დაკვირვებები ჩატარებულია მხოლოდ კურორტის ჩრდილოეთ ნახევარზე, საღაც მეტეოროლოგიური საღგური მუშაობს 1937 წლიდან.

პილრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მონაცემებით, თერმული რეჟიმის მხრივ კიკეთს უკავია საშუალო ადგილი კოჯორსა და წყნეთს შორის. კოჯორში რამდენადმე უფრო გრილა, ვიდრე კიკეთში; წყნეთში კი საშუალოდ 2 გრადუსით უფრო თბილა, ვიდრე კიკეთში.

კიკეთისა და მანგლისის ტემპერატურული მაჩვენებლები ერთმანეთთან ახლოს არიან, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში; თუ მხედველობაში მივიღებთ სიმაღლეს, მანგლისში, კიკეთთან შედარებით, უფრო დაბალი ტემპერატურა უნდა იყოს, მაგრამ სამხრეთიდან მანგლისი ლიან, უფრო ინტენსიურად თბება და ამიტომ იქ ტემპერატურა უფრო მაღალია.

ჩრდილოეთისაკენ გაშლილობის გამო კიკეთის მთელ რაოდნები ში გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის ძლიერი ქარები.

ჰაერის ტენიანობა კურორტის ჩრდილოეთ ნაწილში რამდენადმე მაღალია. ქვემოთ მოგვყავს კიკეთის, კოჯორისა და მთაწმინდის ფარდობითი ტენიანობის მაჩვენებლები.

ფარდობითი ტენიანობა %%-ში 13 საათისათვის

ადგილების დასახელება	აპრილი	ივნისი	სექტემბერი
კიკეთი (ჩრდილოეთის ზონა)	61	48	66
კოჯორი	58	37	58
მთაწმინდა	56	36	55

კიკეთის მაღალი ფარდობითი ტენიანობა გამოწვეულია მისი ჩრდილოეთი ნაწილის დაჩრდილვით და ტყის მასივის სიახლოვით.

კიკეთის ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 600 მმ. საერთოდ, ამ კურორტზე ნალექები ნაკლებია, ვიდრე კოჯორში და წყნეთში და მეტია, ვიდრე თბილისში. ზამთარი კიკეთში გამოხატულია მკაფიოდ. ზამთრის 3 თვის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა 0-ზე დაბალია. თოვლის საბურველი სტაციონარულია დეკემბრის მეორე ნახევრიდან 10—15 მარტამდე.


კიკეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და კლიმატური მაჩვენებლების კომპლექსი მთლიანად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც წარედგინება სამთო-კლიმატურ სადგურს.

საგაურალო თვისებები და კურორტის განვითარების პრეცესტივები

ჯანსაღ და ავადმყოფ ორგანიზმზე კიკეთის ჰავების შესახებ ჯერჯერობით სამედიცინო ლიტერატურაში არავითარი მასალა არ მოიპოვება, მაგრამ ავადმყოფები და დამს-



ეროვნული
ციფრული ბიблиოთეკა



კავკასიონი — აგარაკი.





ତଥିଲିସି — ଫୁନିକୁଲାରୀ.

ვენებლები ხალისიანად და სისტემატურაჲ მიღიან კიკეთში და იქიდან კმაყოფილები ბრუნდებიან. ექიმებიც, რომელთაც კიკეთში უმუშავიათ, ადასტურებენ ამ კურორტის სამკურნალო და პროფილაქტიკურ ეფექტიანობას. ეს გასაგებიც არის. ულტრაიისფერი რაღიაცით მდიდარი მთის ჰავა, სუფთა და გრილი ჰაერი, სხვადასხვა მცენარეთა (მათ შორის წიწვიანი ჯიშების) სიუხვე და რელიეფის სხვადასხვაობა, თვალწარმტაცი ბუნება, ცივი წყაროები ხელშემწყობ პირობებს წარმოადგენენ დასვენებისათვის.

კიკეთში წარმატებით შეიძლება იმკურნალონ ლიმფადენიტით, ბრონქიტით, პლევრიტით, სისხლნაკლულობით, მალარიით დაავადებულებმა, მაგრამ აღნიშნული დაავადებების დროს მკურნალობა ნაჩვენებია თბილისის გარეუბნის სხვა კურორტებზეც (კოჯორი, მანგლისი, წყნეთი).

ამიტომ კიკეთის გენერალური დაგეგმარების პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ამ კურორტის პროფილაქტიკური პროფილი, ძირითადად სრულასაკოვანთათვის. გარდა პოლიკლინიკისა, რომელსაც ექნება ყველა სამკურნალო-დიაგნოსტიკური განყოფილება და პატარა სტაციონარი, აქ გათვალისწინებული იქნება დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, სასტუმროს, ფიზკულტურის მოედნების, აეროსოლარიუმების და ცალკე სახლების (კოტეჯების—საოჯახო სარგებლობისათვის), აგრეთვე კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მშენებლობა. ამ კურორტის განვითარების გენერალური დაგეგმარების პროექტი, რა თქმა უნდა, გაითვალისწინებს, პირველ რიგში, კეთილმოწყობის ძირითად ელემენტებს: წყალსადენს, კანალიზაციას, ელექტრომომარაგებას და შინასაკურორტო გზებს.

აქედან გამომდინარე, კიკეთი უნდა განვითარდეს, როგორც მთელი წლის განმავლობაში მოქმედი კურორტი სრულასაკოვანთათვის. უნდა ითქვას, რომ ამას ხელსუწყობს კურორტის ყველა ბუნებრივი პირობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პანსიონატებში და დასასკონცე-
პელ სახლებში გასაგზავნთათვის წინაღმდეგჩვენებად არ
უნდა ჩაითვალოს ქრონიკული ბრონქიტის, ლიმფადენტის,
ნევრასთენიის მსუბუქი ფორმები და მწვავე დაავადების
გადატანის შემდეგი პერიოდი.



კუმისი

საქართველოში, რომელიც განთქმულია ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტებით, სამკურნალო ტალახის წყაროები და ამ ტალახის მარაგი ჯერ კიდევ შედარებით სუსტად არის გამოვლინებული.

ამჟამად ჩვენში ცნობილია სამკურნალო ტალახის ორი წყარო: ახტალის ფსევდოვულკანური და კუმისის ტბის ნალექი ანუ ლამის ტალახი.

კუმისის ტბა იმავე სახელწოდების სოფლით, მდებარეობს თბილისიდან 22 კილომეტრის მანძილზე მისგან სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულებით, შავი ზღვის დონიდან 480 მეტრის სიმაღლეზე.

მისი გეოგრაფიული კოორდინატებია: $41^{\circ}35'$ ჩრდილოეთის განედი და $44^{\circ} 52'$ აღმოსავლეთის გრძელი. თვით კუმისის ტბა—ტალახის წყარო, მდებარეობს იმავე სახელწოდების რკინიგზის სადგურიდან სულ ახლო. რკინიგზა აკავშირებს კუმისს როგორც საქართველოს, ისე სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვა რესპუბლიკების ქალაქებთან და დასახლებულ პუნქტებთან.

გარდა ამისა, თბილისთან კუმისს აერთებს ჩინებული გზა-ტკეცილი, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი გუდრონირებულია. იგი თბილისიდან მიემართება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რკინიგზის სადგურ სოლანლულამდე, შემდეგ უხვევს მარჯვნივ კუმისის ტბისაკენ.

სოფ. კუმისიდან კუმისის ტბამდე სულ 3 კილომეტრია. ამ სამკურნალო აღგილის ახლობელი დასახლებული სოფლებია: მუხრან—თელეთი, მირზო—თელეთი, სოლანლული, კოდა, წალალუ, ხატის თელეთი და სხვ.

ტბის სიგრძე $2\frac{1}{4}$ კილომეტრამდეა, განი კი 2 კილომეტრამდე. მისი საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით

4—4¹/₂ კმ². თბილისის მიდამოებში მდებარე ცხრა ტბის შორის იგი ყველაზე ღილია. კუმისის ტბის სილრმე მერყეობს ორი მეტრის ფარგლებში. ტალახის ზედა, ღაახლოებით 5 სმ სისკის ფენა ნაცრის ფერისაა და წარმოადგენს ტალახის დაჭან-გულ ნაწილს. უფრო ღრმად მდებარეობს შავი, სქელი, პლასტიკური მაღალხარისხოვანი სამკურნალო ტალახი, რომლის სისკე აღწევს ერთ მეტრზე მეტს.

1936 წელს თბილისის სანიტარული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ იქნა კუმისის ტალახის ფიზიკურ-ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზები, რომლებმაც დადასტურა მისი მაღალი სამკურნალო ღირსება.

კუმისის ტალახს, სამკურნალო მიზნით, პირველად, შედარებით ვიწრო ფარგლებში, იყენებდნენ ახტალის ტალახთან ერთად თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განცო-ფილების გოგირდწყალტალახსამკურნალოში 1927—32 წლებ-ში; ამის შემდეგ კუმისის ტალახის გამოყენება შეწყდა.

თბილისის საბჭოს საკურორტო სამმართველოს მიერ 1936 წელს განახლდა ამ ტალახის გამოყენება იმავე გოგირდწყალ-ტალახსამკურნალოსა და პროფესიული სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ლიკანის სანატორიულ კომბინატში (ბორჯომ-ლიკანი).


რესპუბლიკის ყველა სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში, ამ ძვირფასი სამკურნალო ფაქტორის ფართო გამოაქვების მიზნით, ტბის სილრმეში მოეწყო სპეციალური ესტაკადა და ტალახის ამოლების მექანიზაციის მიზნით კონსტრუირებულ იქნა სპეციალური ხელსაწყო. ტბის ნაპირზე აშენებულ იქნა ქვითკირის ორსართულიანი პატარა შენობა, რომლის მეორე სართულში მოთავსდა სამკურნალო ტალახის ექსპლოატაციაზე მომუშავე პერსონალი, პირველში კი—ნავები და სხვა ინვენტარი.

1935 წელს კუმისის ტბას ესტუმრა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელშიც შედიოდნენ: უკრაინის სამეცნიერო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი პროფ. ე. ბურქსერი, ცნობილი ბალნეოლოგი—ტალახმცოდნე პროფ. ს. ნალბანდოვი,



თბილისი — წედი ფუნიკულორის ზედა სადგურიდან.





მთაწმინდა — სედი ფუნიკულორის ზედა სადგურიდან.

პროფ. დ. ჯავახიშვილი, პროფ. მ. ზანდუკელი, ექ. ლ. ნაზარეტიანი, კ. ბეგიშვილი, დოც. მ. ნოღია და სხვები.

სამკურნალო ტალახისა და ადგილზე ტბის შემოწმების გარდა, ექსპედიციის მიერ აღებულ იქნა სინჯები ანალიზებისათვის. ანალიზები გაკეთებულ იქნა უკრაინის (ოდესა) კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიურ ლაბორატორიაში პროფ. ბურქსერის ხელმძღვანელობით.

ხსენებული ექსპედიციის დასკვნისა და ფიზიკურ-ქიმიური ანალიზების თანახმად მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ამ სამკურნალო ტალახის ფართო გამოყენება სამკურნალო მიზნით, როგორც თბილისში, ისე თბილისგარეშე ტალახით სამკურნალოებში. ამავე დროს ექსპედიციამ აღნიშნა ტბის ამოშრობის საშიშროება იმის გამო, რომ მასში შემავალ წყაროებს მცხოვრებლები იყენებენ ნათესებისა და ბოსტნების მოსარწყავად. თბილისის საბჭოს საკურორტო სამმართველოს მიერ მიღებული ზომების შედეგად წყლის ნაწილი ისევ დაუბრუნდა ტბას და ტბის წყლის რეჟიმი ცოტად თუ ბევრად აღდგენილ იქნა.

კუმისის ტბის ტალახის მექანიკური ანალიზი

ანალიზი გაკეთებულია ოდესის კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფიზიკურ-ქიმიურ ლაბორატორიაში (გამგე—პროფ. ბურქსერი).

პრი ცენტ	ტალახის ნაწილაკების ოდენობა (მილიმეტრებში)	რაოდენობა % % -ში
1.	0,25 .	0,418
2.	0,25—0,05	2,622
3.	0,05—0,01	12,200
4.	0,01—0,005	19,160
5.	0,005—0,001	2,850
6.	—0,0001 .	11,550
7.	წყალი და წყალში გახსნ. მარილები	51,200

ამჟამად კუმისის ტბაზე არსებობს საღარაჯო და ქვითკი-
რის შენობა საწყობისათვის.

აღნიშნული ტალახის ექსპლოატაცია 1940 წლიდან ისევ
შეწყდა.

თბილისის საკურორტო სამმართველომ უკანასკნელ წლებ-
ში ისევ განაახლა კუმისის ტბის ტალახის ექსპლოატაცია,
რაღვან მოთხოვნილება ამ საუკეთესო ლირსების მქონე სამ-
კურნალო ტალახზე დიდია როგორც საჭართველოს ფარ-
გლებში, ისე ჩვენი მეზობელი რესპუბლიკების მხრივაც (სომ-
ხეთი, აზერბაიჯანი).

ჰ ა ვ ა

ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მონაცემებით, კუმისის
ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა მერყეობს $+1,7$
 $+24,6^{\circ}$ შორის, ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წელი-
წალში შეადგენს 385 მმ, ხოლო საშუალო ფარდობითი
ტენიანობა აღწევს 67 %.

მოყვანილი მონაცემებიდან აშკარად ჩანს, რომ კუმისი სა-
ერთოდ წმრალ და თბილ რაიონს წარმოადგენს, სადაც ზაფხუ-
ლობით მნიშვნელოვნად ცხელა და ატმოსფერული ნალექების
რაოდენობა მცირეა.

კუმისის სამკურნალო ტალახის გამოყენება თერაპიული მიზნებისათვის და გისი უმჯობე ათვისების პრეცესტივები

თბილისის გოგირდწყალ-ტალახსამკურნალოში 1927—32 წწ.
ჩატარებული დაკვირვებებით გამოირკვა, რომ კუმისის ტა-
ლახი დადებით შედეგს იძლევა სახსრების, პერიფერიული
ნერვული სისტემის, გინეკოლოგიურ და სხვა დაავალებათა
დროს (დ. ჯავახიშვილი, დ. ჭიჭინაძე და სხვ.).

პროფესიულ ცენტრალურ საბჭოს ბორჯომ-ლიკანის
სანატორიუმში კუმისის ტალახის მკურნალობის მიზნით გა-
მოყენების შედეგად სპეციალისტები მივიღნენ იმ დასკვნამ-
დე, რომ ამ ტალახის თვისება—კოლოიდობა და პლასტი-

კურობა უზრუნველყოფს ქსოვილების ღრმა გათბობას. 40—50° ტემპერატურის ტალახის აპლიკაციას ავადმყოფები, უმეტეს შემთხვევაში, კარგად იტანენ და მკვეთრად გამოხატული ტკივილი ქრება.

ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მიხედვით, კუმისის ტალახი წარმოადგენს ცნობილ ტამბუკანის¹ ტბის ტალახის ანალოგს, ხოლო ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით იგი რამდენადმე მაღლა დგას, ვიდრე ახტალისა და ტამბუკანის ტალახი.

კუმისის ტბის ტალახის გამოყენება თამამად შეიძლება ყველა იმ დაავალებათა დროს, როდესაც საერთოდ ნაჩვენებია ტალახით მკურნალობა; ამავე დროს, კუმისის ტალახს აქვს ზოგიერთი უპირატესობა ახტალის ტალახთან შედარებით; სახელდობრ, კუმისის ტალახი სქელი კონსისტენციისა და ელასტიკურია; ამ თვისებებს კი დიდი მნიშვნელობა აქვს ტალახის აპლიკაციური მეთოდით გამოყენებისა და განსაკუთრებით ტალახით კურორტგარეშე მკურნალობის თვალსაზრისით.

კუმისის ტალახის უპირატესობა, ახტალის ტალახთან შედარებით, იმაშიც მდგომარეობს, რომ დიდი ხანია, რაც დამტკიცებულია ლამის ტალახის რეგენერაციის (ალდგენის) შესაძლებლობა (ტამბუკანი, ოდესის ლიმანები და სხვ.). ლამის ტალახთა ჯგუფს ეკუთვნის კუმისის ტალახიც. ამის შედეგად ერთხელ გამოყენებული, რეგენერაციის თვისების მქონე სამკურნალო ტალახი შეიძლება განმეორებით იქნეს გამოყენებული ყოველი 5—8 თვის შემდეგ. თუ ტალახი შენახულ იქნება სარეგენერაციო სპეციალურ აუზებში, აღნიშნული დროის განმავლობაში ხდება მისი პირველადი ბუნებრივი სამკურნალო თვისებებისა და სისუფთავის აღდგენა.

1. ტამბუკანის ტბა მდებარეობს კურორტ გსენტუკიდან 7 კილომეტრის მანძილზე. ტამბუკანის ტალახს ფართოდ იყენებენ ესენტუკში და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა სახელგანთქმულ კურორტებშე (კისლოვოდსკი, ზელეზნოვოდსკი, პიატიგორსკი).

არის კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც გვიკარნახებს კუმისის ტალახის ეკონომიურ და რაციონალურ გამოყენებას.

საქმე ის არის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში ჯერჯერობით ცნობილია სამკურნალო ტალახის მხოლოდ ორი წყარო: კუმისისა და ახტალის.

ახტალის ტალახის დებიტი გამოკვლეული იყო სხვადასხვა სპეციალისტების მიერ სხვადასხვა დროს. მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით, ტალახის დებიტი უდრიდა 70 კუბ. მეტრს; სხვა მკვლევართა აზრით—50 მ³, ხოლო მესამე ჯგუფის აზრით, დებიტი შეადგენდა 30 მ³ დღე-ლამეში. უკანასკნელ წლებში სისტემატური დაკვირვების მიხედვით, ტალახის დებიტი დღე-ლამეში 10 კუბ. მეტრს არ აღემატება. ჯერჯერობით არ არის გამორკვეული, თუ რა იწვევს დებიტის ასეთ მერყეობას. 1948 წ. საქართველოს სსრ კურორტოლოგიის ინსტიტუტმა სპეციალური ჰიდროგეოლოგიური ხასიათის მუშაობა ჩატარა კურორტ ახტალის რაიონში. გამოირკვა, რომ ამჟამად ახტალის ტალახის დებიტი 6—10 მ³ არ აღემატება დღე-ლამეში. ეს მცირე დებიტი ოდნავად თუ დააკმაყოფილებს თვით კურორტის მოთხოვნილებას, მით უმეტეს, რომ კურორტი შემდეგში იმოქმედებს მთელი წლის განმავლობაში. ამავე დროს, ტალახით მკურნალობაზე, როგორც ფრიად ეფექტურ სამკურნალო საშუალებაზე, მოთხოვნილება თანდათან იზრდება.

ამრიგად, ტალახით სამკურნალოების დიდ ქსელს, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში და რაიონებში, აგრეთვე მეზობელ რესპუბლიკებში, ვერ უზრუნველყოფს ახტალის ტალახი და ისინი მთლიანად უნდა გადავიდნენ კუმისის ტალახზე.

იმისათვის, რომ კუმისის ტალახმა შეძლოს ასეთი მოთხოვნილების უზრუნველყოფა, პირველ რიგში, საჭიროა ამ ძვირფასი სამკურნალო ტალახის წყალქვეშ შენარჩუნების მიზნით რაღიკალური ღონისძიებების ჩატარება. ტბის წყალის ფართობის შემცირების მიზეზია ტბის სამთო-სანიტარული დაცვის ზონის ფარგლებში მწვანე ნარგავების განადგურება

წარსულში და ტბაში ჩამდინარე წყაროთა გამოყენება ბოსტნების და ყანების მოსარწყავად. საჭიროა აღნიშნული ზონის ნარგავებისა და მცენარეთა დაცვა საქონლისაგან და ამასთან ერთად მთელი სამთო-სანიტარული დაცვის ზონის გამწვანება. საჭიროა აგრეთვე კონტროლის დაწესება, რომ ტბაში შენაკადი წყაროების წყალი არ იქნეს გამოყენებული სხვა მიზნებისათვის. საკურორტო სამმართველოს გათვალისწინებული აქვს ტბის რეჟიმის და რაიონის ჰიდროგეოლოგიური შესწავლა, აგრეთვე ტბის დასაცავად მთელ რიგ ლონისძიებათა ჩატარება, რაც, რასაკვირველია, სათანადო შედეგს მოგვცემს. ტალახის ამოლების უფრო სრულყოფილი მექანიზაცია უზრუნველყოფს ტალახით სამკურნალო დაწესებულებების დროულ და შეუფერხებელ მომარაგებას.

სამკურნალო ტალახის რაციონალური და ეკონომიური ხარჯვა მოითხოვს ტალახით სამკურნალო დაწესებულებებში ტალახის სარეგენერაციო აუზების მოწყობას.

არ იქნება ზედმეტი დაისვას საკითხი თვით ტბაზე ტალახით სამკურნალოს ორგანიზაციის შესახებ.

აღნიშნულ ლონისძიებათა ცხოვრებაში გატარება მოგვცემს ტალახის ფართო გამოყენების საშუალებას.

კუთხის ტალახით მკურნალობის ჩვენიპანი

1. სახსრების ქრონიკული ანთება რევმატიზმული, ინფექციური, ტრავმული, ენდოკრინული და სხვა წარმოშობისა;
2. პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებანი, უმთავრესად ნევრიტები და ნევრალგიები (იშიასი, ლუმბაგო და სხვ.);

3. ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებანი (საშვილო-სნოს, საკვერცხეების და საშვილოსნოს ახლო მდებარე ქსოვილების ანთება, ოპერაციისშემდგომი შეხორცებები, მენსტრუაციის მოშლა ენდოკრინული წარმოშობისა და სხვ.);

4. კანის ქრონიკული დაავადებანი (ფსორიაზი, ეგზემა, ჭავანა, დერმატოზები, ფურუნკულოზი და სხვ.);

5. ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთება,
პერიგასტრიტი, პერიდულდენიტი და სხვ;


6. წვივის ქრონიკული წყლული, ქრონიკული ფლებიტი,
თრომბოფლებიტი, ენდარტერიიტი და სხვ.

შინააღმდეგჩენებანი

1. ფილტვებისა და სხვა ორგანოთა ტუბერკულოზი;
2. გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი სუნ-
კომპენსაციისა და დეკომპენსაციის სტადიაში;
3. ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაავა-
დებანი;
4. ორსულობის ყველა პერიოდი;
5. ავთვისებიანი სიმსივნეები;
6. მწვავე ანთებითი პროცესები და სიცხიანი დაავადებანი.



მთაწმინდა



მთაწმინდა თბილისის საგარეუბნო კურორტებიდან და სააგარაკო ადგილებიდან უახლოესი მთის კლიმატური სადგურია. მას ხშირად არასწორად უწოდებენ ფუნიკულორს — საბაგირო გზის სახელწოდებას, რომელიც აკავშირებს თბილისს მთაწმინდასთან. ფუნიკულორის ქვედა სადგური მდებარეობს ზღვის დონიდან 460 მეტრის სიმაღლეზე, ზედა სადგურის სიმაღლე კი აღწევს 760 მეტრს. თვით ფუნიკულორის სიგრძე უდრის 510 მეტრს. მთაწმინდა უშუალოდ ეკვრის თბილისს და არსებითად შეადგენს ქალაქის განუყრელ ნაწილს. წარსულში მთაწმინდა ატარებდა აგრეთვე „განდეგილის“ მთის სახელწოდებას.

გარდა საბაგირო გზისა და მშვენიერი გუდრონირებული საავტომობილო გზატკეცილისა, თბილისიდან მთაწმინდაზე აღის მეტად ლამაზი საცალფეხო გზა. სანამ ამ გზით მთაწმინდის პლატოზე ავიდოდეთ, დაახლოებით შუა მანძილზე, ქალაქისაკენ მიმართულ მთის ფერდობზე მოთავსებულია მამა-დავითის ეკლესია, გასული საუკუნის მეორე ნახევრის. და მიმდინარე საუკუნის საქართველოს დიდ მოლვაწეთა და მწერალთა პანთეონით. აქ არის უკვდავი მწერლების აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, დიდი საზოგადო მოლვაწის ნიკონიკოლაძის, დიდებული რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვის და სხვათა საფლავები. აქ დასაფლავებულია დიდი სტალინის დედა ე. ჯულაშვილი.

მთაწმინდის სულ ზედა ნაწილი წარმოადგენს საკმარისად მოზრდილ პლატოს თავისი სუფთა, გრილი ჰაერით, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელ პერიოდში, როდესაც მისკენ მიისწრაფის მრავალი ათასი თბილისელი.

ამ პლატოდან მოჩანს დიდებული, თეთრად შემოსილი მყინვარი და კავკასიონის მთავარი ქედის მუდამ

თოვლით დაფარული სხვა მწვერვალები, თუშ-ფშავ-ხევსურე-თის და კახეთის კავკასიონი, სამგარის დაბლობი, ბოტანიკური ბალი და ბოლოს თვით თბილისი, მთელი მისი სილა-მაზით. სალამოს უმს მაყურებლის თვალწინ ტაფობში იშლება საუცხოოდ გაჩირალდნებული ქალაქი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მთაწმინდის პლატო წარმოადგენდა მცირე ფართობიან მოე-დანს, რომელიც თან ეკვროდა ფუნიკულორის ზემო სად-გურს. აქედან ცოტა მოშორებით კი მთელი პლატო წარმო-ადგენდა ბნელს და სრულებით მოუწყობელ ადგილს, სადაც სალამონბით დამსკენებელთა გავლაც კი სახითათო იყო.

ამჟამად, მთაწმინდის პლატო სრულიად გადასხვაფერდა; აქ უკვე გაყვანილია საუცხოო გუდრონირებული საავტომო-ბილო გზა, ნატახტარის წყალი, გამწვანებულია პლატოს მანამდე შიშველი მოედანი და მთის ყველა ფერდობი, კომკავ-შირის ხეივნისა და სოლოლაკის მთის ფერდობების ჩათვლით.

თვით პლატოზე გაშენებულია ი. სტალინის სახელო-ბის პარკი. ფუნიკულორის ზემო სადგურზე აგებუ-ლია გრანდიოზული სამსართულიანი პავილიონი, მდიდრული დარბაზებით, უზარმაზარი ლია ვერანდებით, საუცხოოდ გა-ფორმებული სასადილო დარბაზით და სხვ.

პლატოს მთელი ტერიტორია ლამაზალ არის გაფორმებუ-ლი: გაყვანილია ხეივნები, გზა-ბილიკები ყვავილნარებით; აგებულია კაფეები, კიოსკები, მოწყობილია შადრევ-ნები; პლატოს ცენტრში დადგმულია დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის გრანდიოზული მონუმენტი.


მთაწმინდის ტემპერატურა ცხელი თვეების პერიოდში სა-შუალოდ $2,1^{\circ}$ ნაკლებია, ვიდრე თბილისის ტემპერატურა.

ამავე დროს, ზამთრის თვეებში თბილისში უფრო ცივა, ვიდრე მთაწმინდაზე. ეს მოვლენა იმით აიხსნება, რომ თბი-ლისი მდებარეობს ქვაბულში და ლია ჰორიზონტის უქონლობის გამო აქ გროვდება ცივი ჰაერი, რომელიც უფრო მეტი დროს ჩერდება, ვიდრე მთაწმინდის ლია პლატოზე.

ქარების სისწრავე მთაწმინდაზე ოდნავ მეტია, ვიდრე თბილისში (სხვაობა ალწევს დაახლოებით $0,5$ მ/წ); ამავე დროს ქარების ცოტაოდენ გაძლიერებას აქვს ადგილი მთა-



ბეთანია — XII საუკუნის ეკლესია.



მცხეთა — სვეტიცხოველის ტაძარი.

წმინდაზე სალამოს საათებში (განსხვავება თბილისთან შედარებით აღწევს 1 მეტრამდე წუთში). ეს მოვლენა არ შეიძლება ჩაითვალოს უარყოფითად, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელი თვეების მანძილზე, ვინაიდან იგი ქმნის სასიამოვნო სიგრილეს. აქ გაბატონებული ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარები ხელს უწყობენ ჰაერის სიგრილეს ზაფხულის თვეებში.

მთაწმინდა ხასიათდება ჰაერის შედარებით მეტი ტენიანობით, ვიდრე თბილისი.

თუ ამასთან ერთად მხედველობაში მივიღებთ აქ მუდამ არსებულ ნიავს და ჰაერის სისუფთავეს (მეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მონაცემებით, ჩულურეთში ჰაერის ერთი კუბური სანტიმეტრი შეიცავს 11000 მტვერის ნაწილაკს, მთაწმინდაზე – 2000), სრულიად ნათელი ხდება თბილისის მოსახლეობის მისწრაფება სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკისაკენ, განსაკუთრებით ზაფხულის სიცხეში.

მთაწმინდის პლატოზე იქმნება მწვანე ნარგავთა მნიშვნელოვანი მასივები და ახლო მომავალში მის ფართო ტერიტორიაზე შესაძლებელი გახდება გაიშალოს მთელი რიგი პროფილაქტიკური დაწესებულებები: ერთ ან მრავალდღიანი დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, სასტუმროები, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვა დამხმარე ხასიათის ობიექტები, რომლებიც საჭიროა დამსვენებელთა ყოველმხრივი მომსახურებისათვის.



ბეთანია



ბეთანია მდებარეობს თბილისიდან დასავლეთით 30 კილო-
 მეტრის მანძილზე ტყეებით მდიდარ მიდამოში, ზღვის დო-
 ნიდან 900—950 მეტრის სიმაღლეზე. თბილისიდან ბეთანია-
 ში მიდის კარგი გზატკეცილი, რომელიც გაივლის
 კურორტ კოჯორზე, სამადლოსთან სკილდება მანგლის-
 ში მიმავალ მაგისტრალურ გზას და უხვევს დასავლეთით
 აგარაკ ბეთანიისაკენ. მეორე გზა—თბილისიდან კურორტ წყნე-
 თის გავლით მნიშვნელოვნად ამცირებს მანძილს ბეთანიამდე.

თვით სააგარაკო ადგილი მდებარეობს მდინარე ვერის
 დაბლობის გაშლილ ნაწილში. ეს ადგილი ჩრდილოეთიდან
 დახურულია თრიალეთის ქედით, რომლის სიმაღლე აქ აღ-
 წევს 1400—1600 მეტრს; სამხრეთით მდებარეობს შედარე-
 ბით დაბალი მთის ქედი; დასავლეთით კი მას გადმოჰყურებს
 საწყისის ქედი, რომლის სიმაღლე აქ 2000 მეტრს აღწევს.

ბეთანიის რაიონში თრიალეთის ქედის სამხრეთის ფერდო-
 ბები დასერილია მრავალი ხეობით, რომლებიც მიმართული
 არიან ჩრდილო - დასავლეთიდან სამხრეთ - დასავლეთისაკენ.
 ადგილის გაშლილობა აღმოსავლეთიდან და თრიალეთის
 სამარეთ ფერდობებზე არსებული მთის დაბლობების სისტე-
 მა განსაზღვრავს რაიონის ვენტილაციას და ხელშემწყობ
 გავლენას ახდენს ბეთანიის კლიმატურ კომპლექსზე. რაიონის
 დახურულობა ჩრდილოეთიდან თრიალეთის ქედით არბი-
 ლებს ცივი ჰაერის მასების მოქმედებას. ასევე შემარბი-
 ლებლად (გამაგრილებლად) მოქმედებს ბეთანიის ჰაერზე აქ
 არსებული ტყეების მდიდარი მცენარეულობა.

ამ საკურორტო რაიონში მდებარეობს შუა საუკუნეების
 ქართული ხელოვნების მეტად თვალსაჩინო ძეგლი—ბეთანიის
 ეკლესია. იგი საინტერესოა თავისი არქიტექტურული ფორ-
 მით, მდიდარი ჩუქურთმებით და შესანიშნავი ფრესკული

ფერწერით. ეს ეკლესია მიეკუთვნება მეთორმეტე საუკუნის
 დასასრულს.

ბეთანიაში ათეული წლის წინათ აშენებულ იქნა მშვენიე-
 რი სამსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელშიც 1941
 წლამდე ისვენებდნენ წარმოების მოწინავე მშრომელები—
 დამკვრელები. 1944 წლიდან იგი გადაეცა განათლების სამი-
 ნისტროს. ამ შენობის გარდა, აქ არის აგრეთვე რამდენიმე
 დამხმარე ნაგებობა. დამსვენებელთა მომსახურების მიზნით
 მოწყობილი იყო მნიშვნელოვანი დამხმარე მეურნეობა—სარ-
 ძევე ფერმა, საფუტკრე, საღორე, საბალ-ბოსტნე მეურნეობა
 და სხვა.

ბეთანია უზრუნველყოფილია წყალსადენით და ელექტრუ-
 ლი განათებით.

თუ მხედველობაში მივიღებთ ბეთანიის სიახლოვეს თბი-
 ლისთან და საკურორტო-სააგარაკო შშენებლობის გაშლი-
 სათვის ტერიტორიულ შესაძლებლობას, ბეთანიას განვითა-
 რების დიდი პერსპექტივა აქვს.

ბეთანია თამამად შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც
 სამკურნალო-პროფილაქტიკური კურორტი მეორადი სისხლ-
 ნაკლულობის, კვების დაქვეითების, ქრონიკული ბრონქიტის,
 პლევრიტის, მალარიის, ლიმფური ჯირკვლების ანთებისა და
 ნეკროზების მსუბუქი ფორმების დროს.



მცხეთა




მცხეთა საქართველოს უძველესი სატახტო ქალაქია. იგი მდებარეობს თბილისიდან 20 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით, იქ, სადაც არაგვი უერთდება მტკვარს. ოდესლაც დიდი პოლიტიკური და კულტურული ცენტრი მცხეთა, წარმოადგენდა იბერიის სამეფოს სატახტო ქალაქს. თითქმის თხუთმეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც მცხეთამ თავისი აღგილი დაუთმო თბილისს.

მცხეთის მიდამოებში შენარჩუნებულია საქართველოს მატერიალური კულტურისა და ხელოვნების უდიდესი ძეგლები.

აქ შემონახულია უძველეს ქალაქ-სიმაგრის არმაზის ციხის ნაშთები. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით 1937—1945 წლებში წარმოებული გათხრებით დამტკიცებულია ამ მიდამოში სხვადასხვა კულტურული ფენის არსებობა, რომელთაგან უძველესს აკუთვნებენ IV, III საუკუნეებს ძველი წელთაღრიცხვით. ამავე დროს ძლიშნული არასანიშნავია, რომ არმაზი იყო იბერიისა და უძველესი ქართლის სატახტო ქალაქი საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების წარმოშობის პირველი დღეებიდანვე.

აქვე, სამთავროს ნეკროპოლში წარმოებული გათხრების შედეგად (1938—1941 წ.) აღმოჩენილია სამარხები, რომლებიც დათარიღებულია მეორე ათასწლეულის შუა ხანებით.

თვით შუა მცხეთაში მდებარეობს მეთერთმეტე საუკუნეში აგებული საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველი, რომელიც გარშემორტყმულია ქონგურებიანი გალავანით. მცხეთის დასავლეთ განაპირა უბანში არის მეორე ეკლესია—სამთავროს ქალთა მონასტერი. მცხეთის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, მოჩანს ნახევრად დანგრეული ციხე-სიმაგრე—ბებრის ციხე. მდ. არაგვის მეორე ნაპირზე ზედაზენის მთის ფერდობზე, ოდესლაც აქ არსე-



თბილისი — ფუნიკულორის ზედა სადგური.



მთაწმინდა — სტალინის სახელობის კულტურისა და დასცნების პარკის მთავარი სეივანი.

ბული ქალაქის ადგილზე მდებარეობს პატარა სოფელი წიწამური. მცხეთის პირდაპირ, მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე, მთაზე ამართულია ჯვარის საყდარი, რომელიც აგებულია მე-6 საუკუნეში. სვეტიცხოვლის ეკლესიის მახლობლად, მდინარე არაგვის ნაპირზე დარჩენილია ძველი ბაზილიკის ნანგრევები.

დღევანდელი მცხეთა წარმოადგენს სოფელს, მოთავსებულს, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, ორი მდინარის – არაგვისა და მტკვრის შესაყარზე. სამხრეთიდან იგი დახურულია თრიალეთის ქედის უშუალოდ მოახლოებული ტოტებით. ჩრდილოეთიდან მას უახლოვდება კავკასიონის მთის ფერდობები. მცხეთის ტერიტორია შევიწროვებულია ზემოხსენებული მთების ქედებით. ჰაერის მასების ცვლა ხდება მდ. მტკვრის ხეობის საშუალებით. ამასთან დაკავშირებით, აქ გაბატონებულია ჩრდილო-დასავლეთის და აღმოსავლეთის ქარები; ჩრდილო-დასავლეთიდან ჰორიზონტის გახსნილობა ხელს უწყობს ამავე მიმართულების ქარების მოქმედებას, ხოლო მცხეთის მიერ დაკავებული დაბლობის სივიწროვე-სინოტივის კონდენსაციას, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე, შედარებით იმ ადგილებთან, რომლებიც მდებარეობენ მცხეთიდან აღმოსავლეთი ან დასავლეთი მიმართულებით. მცხეთა, თბილისთან შედარებით, ხასიათდება გრილი ზაფხულით და ცივი ზამთრით. მთების ფერდობები, რომლებითაც გარშემორტყმულია მცხეთა, საკმარისად დაფარულია ფოთლოვანი ტყით.

თავისი კლიმატური თვისებებით და თბილისთან სიახლოვით, რომელსაც უკავშირდება მეტად მოხერხებული გუდრონირებული გზატკეცილით და რკინიგზით (სულ 25—30 წუთის გზაა), მცხეთა წარმოადგენს კარგ კლიმატურ საღვარს და სააგარაკო ადგილს თბილისის მოსახლეობის დასვენებისათვის. მცხეთა ღირსია შემდგომი განვითარებისა პროფესიული პროფილით.

მდინარე არაგვის მარცხენა ნაპირზე, ჯვარის მონასტრიდან ერთი კილომეტრის მანძილზე ჩრდილოეთის მიმართულებით, სოფ. წიწამური-ჯვარის მონასტრის გზაზე არსებულ 8. თბილისის კურორტები.

„წამყრალა ხევში“ გაფანტულია მცხეთის გოგირდწყალბა-
ლიანი წყალის მრავალი მცირე გამოსავალი. წყაროების დები-
ტი აღემატება 5000 ლიტრს დღე-ლამეში.

ჩვენი ჰიდროგეოლოგების დასკვნით, მინერალური წყარო-
ები სრულებით არ არის კეთილმოწყობილი — მათ ადამიანის
ხელი ჯერჯერობით არ შეხებია.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს
კურორტოლოგიის ინსტიტუტის მიერ 1947 წლის დეკემბერ-
ში ჩატარებული მცხეთის მინერალური წყალის ქიმიური ანა-
ლიზი იძლევა შემდეგ სურათს:

მკვრივი ნაშთი გამომშრალი $110^{\circ} - 4,213$ გრ. 1 ლიტრში

ი თ ნ ე ბ ი	გრამები	მგ. ექვ.	მგ. ექვ. %
ნატრიუმი და კალიუმი	0,9379	40,78	48,84
კალციუმი	0,500	7,50	10,83
მაგნიუმი	0,2557	21,03	30,34
		69,31	100,00
ქლორი	0,5858	16,50	22,80
სულფატი	1,670	24,31	35,03
ჰიდროკარბონატი	1,738	28,50	41,12
		69,31	100,00
კაცის ორჟანგი	0,070		
ალუმინის ჟანგი	0,0040		
საურთო ჰიტრირებული გოგირდი გა- თვლ. H_2S -ზე	0,300		
საურთო მინერალიზაცია	5,219		

კურლოვის ფორმულა: $H_2SO_3 \cdot 305 M_5,2 \frac{HCO_3 \cdot 41 SO_4 \cdot 5 Cl \cdot 24}{Na \cdot 9 Mg \cdot 30}$

როგორც მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, მცხეთის მინე-
რალური წყაროების წყალი ეკუთვნის გოგირდწყალბადიან-
ჰიდროკარბონატულ - სულფატურ - ქლორიდულ - ნატრიუმიან
მაგნიუმიან წყალს. წყალის მინერალიზაცია დღევანდელ
პირობებში უდრის 5,2 გრამს ერთ ლიტრში. ამავე დროს
უნდა აღინიშნოს, რომ გოგირდწყალბადის რაოდენობა აღნი-
შნული წყაროების წყალში აჭარბებს 305 მილიგრამს ერთ
ლიტრში, რითაც იგი მაღლა დგას საქართველოში დღემდე
ცნობილ ყველა გოგირდწყალბადიან წყაროს წყალზე (მენჯი,
82)

გორიჯვარი, ცაიში, პრიმორსკაია, ბია, თბილისი), და აგრეთვე
მაცესტის გოგირდწყალბადიან მინერალურ წყლებზედაც.

მცხეთის მინერალური წყალი, უდავოდ, ღირსია განსა-
კუთრებული ყურადღებისა მათი ყოველმხრივი შესწავლის
მხრივ. პირველ რიგში, საჭიროა ჰიდროგეოლოგიური სამუ-
შაოების ჩატარება მინერალური წყალის საერთო რესურ-
სის გამოვლინების, მათი დებიტის, მინერალიზაციის და
ტემპერატურის გაზრდის მიზნით, რის შემდეგაც ამ ბაზაზე
შესაძლებელი გახდება ბალნეო-კლიმატური კურორტის მშე-
ნებლობა.

მცხეთის რაიონში, რაიონის ცენტრიდან 3—4 კილომეტ-
რის მანძილზე, ბულაჩაურის წყალსადენის გვირაბის მშენებ-
ლობასთან დაკავშირებით 1951 წელს, ზაჰესსა და მცხეთას
შორის, ჯვარის მონასტრიდან და თვით ზაჰესიდან 1—1,5
კილომეტრის დაშორებით აღმოჩენილია გოგირდწყალბადიან-
სულფატურ-ნატრიუმიანი და მაგნიუმიანი მინერალური წყა-
როების ექვსი გამოსავალი (13⁰ ტემპ.). გოგირდწყალბადის
კონცენტრაცია 1 ლიტრ წყალში შეადგენს 90 მგ, საერთო
მინერალიზაცია—12,0 გ, საერთო დებიტი—100,000 ლიტრს
დღე ლამეში.

ამგვარად, აღნიშნული წყალი ეკუთვნის მაღალხარისხო-
ვან გოგირდწყალბადიან სამკურნალო წყალს და უახლოვ-
დებიან სახელგანთქმულ მაცესტისა და მენჯის მინერალურ
წყალს.

ეს წყალი წარმოადგენს საიმედო ბაზას კარდიოლო-
გიური კურორტის მშენებლობისათვის, სადაც გულ-სისხლ-
ძარღვების დაავადებით შეპყრობილთა გარდა, შესაძლებელი
იქნება ვუმკურნალოთ რევმატიზმით, სახსირების ქრონიკული
ანთებით, გინეკოლოგიური, კანის და პერიფერიული ნერვუ-
ლი სისტემის დაავადებით შეპყრობილებსაც.

აქვე გამოვლინებულია სამკურნალო წყალი ქლორნატრი-
უმის მაღალი მინერალიზაციით (37,0 გრ ერთ ლიტრში).



მარტყოფი




თბილისის გარეუბნის სააგარაკო საკურორტო რეზერვებიდან ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სააგარაკო ადგილს მარტყოფს, რომელიც იმუოფება ქალაქიდან 35 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით, ზღვის დონიდან 550—600 მეტრის სიმაღლეზე. მარტყოფი მდებარეობს ქართლის ქედის სამხრეთ ფერდობებზე და დაცულია ჩრდილოეთიდან აღნიშნული ქედის შტოებით, რაც არბილებს ჰაერის ცივი მასების მოქმედებას მის კლიმატზე.

ქართლის ქედის ტოტები, რომლებიც უშუალოდ ეკვრიან მარტყოფს, მთლიანად დაფარულია ფოთლოვანი ტყით, რაც ამცირებს ჰაერის ტემპერატურის რხევას და თვით ტემპერატურის მაჩვენებლებსაც, განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში. ქართლის ქედი უზრუნველყოფს მარტყოფის მიღამოების კლიმატს ზომიერი ტენიანობით; ეს დადებითად მოქმედებს როგორც ადამიანის ორგანიზმზე, ისე მცენარეულობაზე.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ლვთისმშობლის ეკლესია და აგრეთვე ანტონის კოშკი. თვით სოფლის სახელწოდება—მარტყოფი დაკავშირებულია VI საუკუნეში საქართველოში ჩამოსულ ერთ-ერთ ბერთან—ანტონთან, რომელიც, გადმოცემით, დასახლებულა მაშინ სოფ. აკრიანიდან რამდენიმე კმ-ით დაშორებულ მაღლობზე. ანტონს უწოდებდნენ მარტომყოფელს; აქედან სახელწოდება—მარტყოფი.

მარტყოფს, თავისი ლამაზი ბუნებით, უხვი ტყით დაფარული მიღამოებით, ორგანიზმისათვის მეტად ხელსაყრელი კლიმატური კომპლექსით და ამასთან ერთად თბილისთან სიახლოვით, განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს თბილისის მოსახლეობის დასვენების საქმეში, განსაკუთრებით ზაფხულის ცხელი თვეების განმავლობაში. ამგვარად, იგი უნდა ჩაითვალოს თბილისის გარეუბნის ერთ-ერთ სააგარაკო ადგილად.





მცხეთა — წყლის სასპორტო სადგური მდ. მტკვარზე.



საგურამო — ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

საგურამო



საგურამო მდებარეობს თბილისის ჩრდილოეთით 33 კი-ლომეტრის მანძილზე, მცხეთის რაიონში, ზღვის დონიდან 500—600 მეტრის სიმაღლეზე. იგი მოთავსებულია არაგვის დაბლობის განიერ ნაწილში, საგურამოს მთის წყალ-გამყოფი ქედის ფერდობებზე, რომელიც მთლიანად და-ფარულია ტყეებით.

საგურამო აღმოსავლეთიდან დახურულია ქართლის ქედით, რომლის სიმაღლე აქ აღწევს 1600 მეტრს. რაც იცავს მას კლიმატური თვალსაზრისით არახელსაყრელი აღმოსავლეთის ჰაერის ნაკადისაგან. ამავე დროს, აღნიშნული ქედი ხელს უწყობს საგურამოს კლიმატის ტენიანობის საკმარისად გაძლიერებას, რაც დადებით გავლენას ახდენს ამ აღგილის საერთო კლიმატურ კომპლექსზე.

საგურამოდან სამხრეთი მიმართულებით, ხუთი კილომეტ-რის მანძილზე, მდებარეობს სოფ. წიწამური, საღაც დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის აღგილზე აღმართულია ობელისკი.

საგურამოში არის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი.

საგურამო, თავისი სუფთა ჰაერით, აღამიანის ჯანმრთე-ლობისათვის მეტად ხელსაყრელი კლიმატური პირობებით, ბუნების სილამაზით და თბილისთან სიახლოვით, წარმოად-გენს მოხერხებულ და კარგ საზაფხულო სააგარაკო აღგილს ქალაქის მოსახლეობის დასასვენებლად.



ლისის ცბა



გარეუბნის მიღამოებში მდებარე ტბებიდან, წყალის სპორტის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლისის ტბა, რომელიც მდებარეობს თბილისიდან ჩრდილოდასავლეთის მიმართულებით 5—6 კილომეტრის მანძილზე და ზღვის დონიდან 630 მეტრის სიმაღლეზე. აქედან დასავლეთის მიმართულებით, სულ $1\frac{1}{2}$ —2 კილომეტრის მანძილზე მდებარეობენ სოფლები ქვემო ლისი და ზემო ლისი.

ტბა შემოსაზღვრულია მცირე მაღლობებით, რომელიც ღარიბი არიან მცენარეულობით. აღმოსავლეთის მიმართულებით ტბის ჰორიზონტი ლიაა.

ტბის სიგრძე ერთ კილომეტრამდე აღწევს, სიგანე კი—600—650 მეტრამდე. სიღრმე ზოგან სამ მეტრამდეა. ტბის ნაპირები, ზოგიერთი გამონაკლისით, ზომიერად არის დაჭანებული, რაც ბანაობისათვის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენს. ტბა იკვებება ნიაღაგვეშა და ატმოსფერული ნალექების წყლებით, რომლებიც ტბის დონეს ხშირად თითქმის ერთი მეტრით ზრდიან.

თბილისის საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საკურორტო სამმართველომ მხედველობაში მიიღო ლისის ტბის მნიშვნელობა წყლის სპორტის განვითარების საქმეში, აგრეთვე თბილისის მოსახლეობის მიერ ტბის გამოყენება დასვენების მიზნით და 1937 წელს ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები ტბის ტერიტორიის გამწვანებისათვის. დარგული იქნა 14000-მდე საკმაოდ მოზრდილი სხვადასხვა ჯიშის მცენარე და გამწვანებულ იქნა უშუალოდ ტბის მოსაზღვრე მიღამო 12 ჰექტარი ფართობით. მოწყობილ იქნა ტბიდან წყალის ელექტროსაქანი ვეებერთელა შემკრები აუზით, საიდანაც ხდება გამწვანებული ტერიტორიის სისტემატური მორწყვა. ამ ღონისძიებამ სათანადო ნაყოფი გამოიღო: იმ

ფართობზე, სადაც მანამდე მხოლოდ ერთი ძირი ხე მოიპოვებოდა, ამჟამად უკვე არსებობს საკმაოდ მოზრდილი ხეივანი-ჭალა.

ზაფხულში ტბის წყალის ზედაპირი და აღგილობრივი ქარები გამაგრილებლად მოქმედებს ლისის კონტინენტალურ კლიმატზე.

ლისის ტბა, როგორც ახლო მდებარე, თბილისის მოსახლეობის დასასვენებლად ყველაზე ხელსაყრელი წყალის საღური, დიდი ყურადღების ღირსია მისი კეთილმოწყობის მხრივ.

ამჟამად ლისის ტბა თბილისის საბჭოს აღმასკომის მიერ გამოყენებულია როგორც წყლის სასპორტო სადგური და აგრეთვე დასასვენებელი აღგილი. აქ არის პატარა კატერები და ნავები, ტბის ნაპირი ნაწილობრივ კეთილმოწყობილია; არსებობს აგრეთვე სადგურის ზოგიერთი დამხმარე ნაგებობა. ტბას სისტემატურად ესტუმრებიან გარეული ფრინველები, რის გამო იგი წარმოადგენს აგრეთვე მონადირეთა საყვარელ აღგილს.

საქართველოს სსრ სანიტარული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ (1935—39 წ.) ჩატარებული ფიზიკურ-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ანალიზებიდან (შ. ხაჩიძე) ჩანს, რომ ლისის ტბის წყალს აქვს საკმაოდ დიდი საერთო მინერალიზაცია, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გოგირდმჟავა კალციუმის და მაგნიუმის მარილებს. ამავე მონაცემების მიხედვით, ლისის ტბა ცნობილია სრულიად ვარგისად წყლის სპორტისათვის.

ლისის ტბა, მისი სათანადო კეთილმოწყობის (გამწვანება, გზის კეთილმოწყობა) და პროფილაქტიკურ დაწესებულებათა (ერთდღიანი და სხვა სახის დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, სასტუმრო) მშენებლობის შემთხვევაში გადაიქცევა თბილისის მოსახლეობის დასვენებისა და წყალის სპორტის საუკეთესო ადგილად.



გომბორი



მთის კლიმატური სადგური გომბორი მდებარეობს საგარეჯოს რაიონში (გარე-კახეთში), ზღვის დონიდან 1150 მეტრის სიმაღლეზე, თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით; მისი გეოგრაფიული კოორდინატებია— $41^{\circ} 62'$ განედი და $45^{\circ} 15'$ გრძედი. გომბორი დაშორებულია რაიონის ცენტრიდან—საგარეჯოდან 45 კილომეტრით, თბილისიდან კი— 64 კილომეტრით.

თბილისთან გომბორი დაკავშირებულია კარგი გზატკეცილით. გომბორის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში გაღის პატარა მდინარე რუსიანის ხევი, ჩრდილოეთ ნაწილში კი—მდინარე კილმახი.

ამ კლიმატური სადგურის საკმარისად მოზრდილი ტერიტორია არაა მჭიდროდ დასახლებული. გარდა ამისა, აქ არას საალმშენებლო ტერიტორიის გაფართოების ბევრი საშუალება.

საზაფხულოდ ჩამოსულ მოაგარაკეებს გომბორში შეუძლიათ თავისუფლად და იაფად იქირაონ ოთახები კოლმეურნეებისაგან. მოაგარაკეთა რაოდენობა დიდი სამამულო ამის წინა საზაფხულო სეზონში აღწევდა 1500 — 2000 სულს.

საზაფხულო სააგარაკო სეზონი, ჩვეულებრივ, იწყება მაისის დამლევიდან და გრძელდება სექტემბრის შუა რიცხვამდე.

გომბორი მოთავსებულია ცივგომბორის ქედის დასავლეთ ფერდობზე, რომელიც წარმოადგენს კავკასიონის მთავარი ქედის ერთ-ერთ სამხრეთ შტოთაგანს. ფერდობი, რომელზედაც მდებარეობს სოფელი გომბორი, ძლიერ დასერილია ხევებით. გომბორის გარშემო მდებარე მთების შუა და ქვედა ნაწილები დაფარულია ფოთლოვანი ტყით, ზემო ნაწი-

ლები კი დაკავებულია ბალახოვანი მცენარეულობით უჩვალ დაფარული მინდვრებით.

თვით სოფლის ტერიტორია დასავლეთისაკენ ლიაა და დაქანებული; ფერდობი რომელზედაც მოთავსებულია გომბორი, იმყოფება ცივგომბორის ქედის და დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებიდან ჩამოსული ცივი ატმოსფერული ნაკალის გავლენის ქვეშ.

სახელწოდებაში სიტყვა „ცივის“ დამატება სრულებით გამართლებულია ამ რაიონის თერმული მაჩვენებლებით.

ჰიდრომეტეოროლოგ გ. ჭირაქაძის მონაცემებით, გომბორში ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა შეადგენს 8°, ხოლო ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი — 700 მმ.

ყველაზე წვიმიანი ჰერიოდია გაზაფხული, ზაფხული კი შედარებით მშრალია. ნალექიანი დღეების რაოდენობა წელიწადში აღწევს 115. თოვლი მტკიცედ ძევს სამი თვის განმავლობაში.

ზაფხულის პერიოდში ფარდობითი ტენიანობა მერყეობს 60—70% ფარგლებში.

აღმოსავლეთის და დასავლეთის ქარები საკმარისად უზრუნველყოფენ რაიონის ვენტილაციას. ქარის საშუალო სისწრაფე უდრის დაახლოებით ორ მეტრს წამში. ადგილის ოროგრაფიული პირობები ხელს უწყობს მთა-ბარის ადგილობრივი ქარების წარმოშობას, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონში.

მეტად ლამაზი ბუნება, მთის საუცხოო ჰავა, სუფთა გრილი ჰაერი და მზის უხვი ნათება საუკეთესო პირობებს ქმნიან ზაფხულში დასვენებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ გომბორს შეიძლება დიდი მნიშვნელობა მივაკუთვნოთ თბილისის მოსახლეობის, დასვენების. საქმეში, მით უმეტეს რომ ეს უკანასკნელი დაკავშირებულია მასთან მეტად მოხერხებული საავტომობილო გზატკეცილით და რკინიგზით.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გომბორი, სათანადო კეთილმოწყობის პირობებში, ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც თბილისის საგარეუბნო პროფილაქტიკური სადგური.

გომბორში შეიძლება დაისვენონ და იმკურნალონ, განსა-
კუთრებით წლის თბილ პერიოდში, მალარიით, მეორადი
სისხლნაკლულობით, ქრონიკული ბრონქიტით, პლევრიტით,
ლიმფური ჯირკვლების ანთებით და ნევროზების იოლი
ფორმებით დაავალებულებმა.



კრწანისი



კრწანისი მდებარეობს ქალაქ თბილისის მიდამოებში, მის დასავლეთ მხარეზე, თანამოსახელე მდინარის ხეობაში, ზღვის დონიდან 450—500 მეტრის სიმაღლეზე. მდინარე კრწანისი იღებს დასაწყისს თრიალეთის ქედის ფერდობები უან, მიემართება ალმოსავლეთისაკენ და უერთდება მდინარე მტკვარს.

მდინარის ხევის ფერდობები ზედა ნაწილში დაფარულია ტყეებით და ბუჩქნარებით. ხევის ქვედა ნაწილი თავისი ზომიერად დაჭანებული ფერდობებით. შორეულ წარსულიდანვე ცნობილია ბალებით და ბოსტნებით.

ხევის ნიაღაგი და კლიმატი მეტად ხელშემწყობ პირობებს ქმნიან ვაზის კულტურის განვითარებისათვის, რაც დასტურდება ისტორიული მონაცემებითაც.

ამჟამად აქ ჰქოვეს ხელშემწყობი პირობები განვითარებისათვის სუბტროპიკულმა კულტურებმაც.

ქალაქ თბილისთან შედარებით, ამ ადგილის კლიმატი უფრო ზომიერია აღნიშნული ხეობის ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთ-ალმოსავლეთის ქარების უშუალო გავლენისაგან დაცულობის, მცენარეულობის სიუხვის და ადგილობრივი მთა ბარის ქარებით სისტემატური ვენტილაციის გამო.

წარსულში კრწანისი იყო მოწმე საქართველოში მტრების მრავალი გამანალგურებელ შემოსევისა და უკანასკნელად დიდი ისტორიული ბრძოლისა (1795 წ.), რომლის დროს ქართველი ხალხი თავისი ჯმირი მეფის ერეკლეს ხელმძღვანელობით მედგრად და შეუპოვრად იცავდა სამშობლოს ღირსებას ალა-მაჭად-ხანის მრავალრიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ.

ამჟამად კრწანისი წარმოადგენს მშვენივრად კეთილმოწყობილ სააგარაკო ადგილს, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს კულტურული დასვენების თანამედროვე შოთხოვნებს.





ბევრეთი



თბილისის საგარეუბნო საკურორტო რეზიდენციან განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მაღალი მთის კლიმატური საღური ბევრეთი. ბევრეთი მდებარეობს თბილისიდან ლისის ტბის მიმართულებით, თვით ტბიდან ათიოდე კილომეტრის მანძილზე და ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე. საქართველოს სსრ კურორტოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის მიერ 1952 წელს ჩატარებულ კლიმატოლოგიურ დაკვირვებათა შედეგად მიღებული მასალები ახასიათებენ ბევრეთს, როგორც მეტად თვალსაჩინო მთის კლამატურ საღურს. მდიდარი წიწვიანი ტყეები, ბუნების თვალწარმტაცი პეიზაჟები და ბალალხარისხოვანი კლიმატური თვისებები უქმნიან ბევრეთს განსაკუთრებული მნიშვნელობის საგარეუბნო კურორტის განვითარების დიდ პერსპექტივას. ყველა აბას ხელს უწყობს ამ ადგილის უხვი შესანიშნავი წყაროები, რომლებიც სრულიად დააკმაყოფილებს მომავალი კურორტის მოთხოვნილებას სასმელ და სამეურნეო წყალზე.

ბევრეთი პირველ რიგში საჭიროებს ლისის ტბიდან მომავალ კურორტამდე საავტომობილო გზის გაყვანას.





წიწამური—ობელისკი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილზე.



တပ်ကြောင်း — လျှောက် ပုံပါ (နှောင်းစွဲလွှာ).


ოქროყანა



ოქროყანა მდებარეობს მთაწმინდის აღმოსავლეთ ფერდობზე, 650—700 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, თბილისიდან 4—5 კილომეტრის მანძილზე, დასავლეთით კურორტ კოჯორისკენ მიმავალ გზაზე. აღგილის რელიეფი შედარებით სწორია, რაც ხელს უწყობს მის ფართო გამოყენებას სააგარაკო შშენებლობისათვის და ამავე დროს განსაზღვრავს ამ აღგილის მიკროკლიმატური პირობების ერთფეროვნებას.

ოქროყანისათვის დადებით მოვლენას წარმოადგენს მისი დაცულობა ჩრდილო-დასავლეთის ძლიერი ქარებრსაგან.

მომავალში მწვანე ნარგავთა სათანადო მასივის შექმნა საგრძნობლად შეანელებს ზაფხულის პაპანაქებას, რაც კიდევ უფრო გაზრდის ოქროყანის, როგორც გარეუბნის მოხერხებული სააგარაკო აღგილის, მნიშვნელობას.



ძეგვი



სააგარაკო ადგილი ძეგვი უკავშირდება თბილისს რკინი-
 გზის ხაზით და მდებარეობს მისგან ჩრდილო-დასავლეთის
 მიმართულებით 30 კილომეტრის მანძილზე, ზღვის დონიდან
 დაახლოებით 600 მეტრის სიმაღლეზე. აღნიშნულ რაიონში
 თრიალეთის ქედის ფერდობები თითქმის მთლიანად დაფა-
 რულდა ტყეებით, რაც სააგარაკო მშენებლობის ფართო გაშ-
 ლის საშუალებას იძლევა.

ამ ადგილის კლიმატური პირობები განისაზღვრება მისი
 მდებარეობით მდინარე მტკვრის შევიწროებულ ნაწილში და
 მასთან მერიდიანული მიმართულებით დაახლოებული. ქართ-
 ლის ქედით, რაც არბილებს ამ რაიონის მშრალ კლიმატს.
 ძეგვის ტერიტორია მდიდარია მცენარეულობით, მისგან
 აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარე სხვა ადგილებ-
 თან შედარებით.

ხელსაყრელი კლიმატური პირობების, თბილისთან სიახ-
 ლოვის და მასთან მეტად მოხერხებული სატრანსპორტო
 კავშირის გამო ძეგვი აღვილად ხელმისაწვდომ სააგარაკო
 ადგილს წარმოადგენს, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონში.



გლდანი




გლდანი მდებარეობს თბილისის საგარეუბნო რაიონში,
 ქალაქიდან 15 კილომეტრის მანძილზე, ჩრდილოეთით. მას
 უჭირავს ქართლის ქედის ტყეებით მდიდარი სამხრეთის
 ფერდობები.

გლდანის ტერიტორიას სჭრის თანამოსახელე მდინარე,
 რომელიც მიიმართება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-
 დასავლეთისაკენ. მდინარის ხეობა აგროვებს ამ რაიონის
 წყლებს და ამავე დროს უზრუნველყოფს გლდანის მიღამოს
 კარგ ვენტილაციას ადგილობრივი ქარების საშუალებით.
 რაიონი მდიდარია ტყეებით, რაც უზრუნველყოფს პაერის
 ტენიანობას, სიგრძილეს და სისუფთავეს, განსაკუთრებით
 წლის ცხელ პერიოდში. ამასთან ერთად, თბილისთან სიახ-
 ლოვე გლდანს ხდის მეტად მოხერხებულ და ხელსაყრელ
 სააგარაკო დასასვენებელ ადგილად ქალაქის მოსახლეობი-
 სათვის.

* * *

გარდა ზემოხსენებული საკურორტო და სააგარაკო ადგი-
 ლებისა, თბილისის გარეუბნის მიღამოებში არსებობს მთე-
 ლი რიგი ისეთი სააგარაკო ადგილები, რომლებიც ყურად-
 ღების ღირსნი არიან. ასეთებს ეკუთვნის ორბეთი, კვესეთი,
 პატარა თონეთი, საყარაულოს ფერდობები, წავკისი, შინ-
 დისი. ტაბახმელა და მრავალი სხვა, რომლებიც დიდ სამ-
 სახურს უწევენ თბილისის მოსახლეობას, განსაკუთრებით
 ზაფხულის პერიოდში. ეს ადგილები შემდეგში, მათი სათა-
 ნადო კეთილმოწყობისა და საკურორტო-სააგარაკო მშენებ-
 ლობის. შედეგად, გაცილებით უფრო გააფართოებენ თავიანთ
 დახმარებას თბილისის მოსახლეობის კულტურული დასვენე-
 ბისა და მკურნალობის საქმეში.



ს ტ რ ჩ ი ვ ი

წინასიტყვაობა	3
ბალნეოლოგიური კურორტი	7
თბილისის ზღვა	25
კურორტი კოჯორი	28
კურორტი მანგლისი	43
კურორტი წყნეთი	55
კურორტი კიკეთი	61
კუმისი	67
მთაწმინდა	75
ბეთანია	78
მცხეთა	80
მარტყოფი	84
საგურამო	85
ლისის ტბა	86
გომბორი	88
კრწანისი	91
ბევრეთი	92
ოქროყანა	93
ძეგვი	94
გლდანი	95



კურტებულის ეროვნული ბიბლიოთეკი



K 24.213/2